F 412
1954

დროშა

№ 10 ოქტომბერი 1954

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯირინკუპინის საბჭოთა მეურნეობის მეორე ბრიგადის სავლე სადგური. ბრიგადის წევრები თავისუფალ დროს კულტურულად ატარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტიუბინსკის ოლქის მაგაჯანის საბჭოთა მეურნეობაში. ტრაქტორი მიჰყავს გეგეჭკორელ ტრაქტორისტ მიხეილ კვესელავას. მასთან გუთნის მიმბმელად მუშაობს სტალინგრადელი ნადია კადინცოვა.

ფოტო შ. შიოშვილისა



დროშა

№ 10 (39) ოქტომბერი 1954 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამომცემლობა „კომუნისტი"

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავე საბჭოთა გამოცდილების გამოყენების შედეგად ქ. ხუანშის (პროვინცია ხუბეი) ფოლადსასხმელმა ქარხანამ «დაე» მარტო გასულ წელს გამოუშვა 60-ზე მეტი სხვადასხვა ხარისხის საუკეთესო ფოლადი.

სურათზე: ფოლადის ჩამოსხმა ფოლადსასხმელ ქარხანაში «დაე».



F1494

გაახალგაზრდავებული მებაღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ურჯუმელაშვილი

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის მეორე დღეს საქართველოს პავილიონის მეხილეობის განყოფილებაში შუახანს გადაცილებული, ლამაზი შესახედაობის მაღალი კაცი შევიდა. მან მორიდებით ჩაუარა ჯგუფად შეკრებილ რუს ქალიშვილებს, რომლებიც სტენდზე წარმოდგენილი სხვადასხვა ჯიშის ვაშლს ათვალიერებდნენ — და მათ შორიახლო შეჩერდა.

ტანზე მოგრძო პიჯაკი ეცვა. პატარა ნაბდის ქუდი ოდნავ გვერდზე ეხურა, რაც შესამჩნევს ხდიდა მის დანაოჭებულ შუბლსა და საფეთქლებთან გათეთრებულ თმას. სხვა ყველაფერი ახალგაზრდული იყო მასში: ბრიჯაოსფერი სახის ნაკვთებიც, მოძრავი დიდი შავი თვალებიც, მტკიცე ნაბიჯიც და მსუბუქი ტანის მოხდენილი მოძრაობაც. ვინ იფიქრებდა, რომ იგი უკვე სამოც წელს გადაცილებული მოხუცი იყო.

— გოგოებო, ვერ იცანით ეს კაცი? — შეეკითხა ამხანაგებს წითელკაბიანი გოგონა, რომელმაც თვალი გააყოლა ახლად შემოსულს.

ქალიშვილები მამაკაცისკენ შეტრიალდნენ, და ცნობისმოყვარეობით დააცქერდნენ.

— სადღაც მინახავს, მაგრამ ვერ გამიხსენებია! — თქვა ერთმა მათგანმა.

— რა გახსენება უნდა, ეს ხომ ქართველი მეხილე სიკო ცაციაშვილია.

— ის არის, ისა! — შესძახეს გახარებულმა ქალიშვილებმა.

რუსულის დიდი მცოდნე არ არის სიკო ცაციაშვილი, მაგრამ ამჯერად, ალბათ, გუმანით მიხვდა თუ რას ლაპარაკობდნენ რუსი კოლმეურნე გოგონები. ის მათგან პირშებრუნებული იდგა და თავი ისე ეჭირა, ვითომ მათი ლაპარაკი არ ესმოდა.

„ნეტავი საიდან იციან ამ უცნობმა ქალიშვილებმა მისი გვარი?“ — ეკითხებოდა სიკო თავის თავს. აბა, როგორ მოიფიქრებდა, რომ ამოდენა ზღვა ხალხში ვინმეს ეცოდინებოდა, ვინ იყო იგი.

ამ ფიქრებში გართულმა, ვერც კი გაიგო, თუ როგორ მიირბინეს მასთან ქალიშვილებმა, მოჰკიდეს ხელი და ერთ ლამაზად გაფორმებულ სტენდთან მიიყვანეს.

შეხედა სიკომ სტენდზე გამოფენილ ნახატებს, ფოტოსურათებს, დიაგრამებს და...

სტენდზე თვალსაჩინო ალაგას ეკიდა მისი დიდი სურათი, რომელიც პირდაპირ თვალებში უცქერდა და უღიმოდა.

დიდხანს იდგა უძრავად და სიხარულით შესცქეროდა თავის სურათს. როგორ უნდოდა, როგორ ენატრებოდა მაშინ სიკოს, ისეთი ხმა ჰქონოდა, რომ ყველასათვის გაეგონებინა აბობოქრებული გულიდან ამოსული ეს სიტყვები:

— ძვირფასო მეგობრებო, აი რა მოგვიტანა საკოლმეურნეო ცხოვრებამ. ჩემი ბედნიერება, ქვეშელი კოლმეურნე გლეხის ბედნიერება, ისევე როგორც თქვენი, იმაშია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ წარმატაც ქვეყანაში, სადაც ასე დიდად ფასდება უბრალო ადამიანების შრომა.

*
* *

სიკო ცაციაშვილის მამა, კარგი გუთნისდედა, დარბაისელი, ახლომახლო სოფლებში სიტყვა-პასუხით განთქმული გლეხი იყო. მაგრამ მაინც ოდით სიღარიბე ყოფილა ცაციაშვილების ოჯახის თანამგზავრი.

პატარა ბიჭობაში სიკოს ძალიან უნდოდა სწავლა, მაგრამ სად ჰქონდა მამამისს იმის შეძლება, რომ შვილისათვის ესწავლებინა: აკი მისმა ტკბილმა ოცნებამ სიოსავით ჩაიქროლა.

როცა სოფელ ქვეშში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, სიკო ცაციაშვილი მთელ სოფელში თითით საჩვენებელი ვაჟკაცი იყო: შრომისმოყვარე, მუყაითი, სიტყვამთქმელი, პურადი.

სიკო ერთი პირველთაგანი შევიდა კოლმეურნეობაში.

თქმა არ უნდა, ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობა სუსტი იყო, მასში გაერთიანებული გლეხები კი ღარიბები. ბევრი იმსჯელეს ქვეშელმა ღარიბმა გლეხებმა, ყველაფერი ასწონ-დასწონეს, უნდოდათ ისე ემუშავათ, ისეთი რამ გაეკეთებიათ, რაც დააჩქარებდა კოლმეურნეობის გაძლიერებასა და გამდიდრებას. ეს საკითხი გამგეობის სხდომაზეც განიხილეს, საერთო კრებაზეც, ასეც თქვეს, ისეც, ვინ იცის კიდევ რას იტყოდნენ, რომ სიკო ცაციაშვილს ასეთი წინადადება არ წამოეყენებინა:

— ხომ ხედავთ, ძმებო, ჩვენ მამულში როგორ ხარობს ხეხილი, ჰოდა, ავდგეთ და ვაშლი ჩავყაროთ, ამისთანა ბარაქას სხვა არაფერი მოგვცემს.

უმეტესობას მოეწონა სიკოს სიტყვები, მაგრამ ზოგმა ხელი ჩაიქნია, ბაღის გაშენებას ხუთი წელი მაინც უნდა, მანამ ჩვენ ჩვენი დაგვემართებაო.

საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება 15 ჰექტარზე ჩაეყარათ ხეხილი. გამოყვეს ნაკვეთები, მოიმარაგეს ნამყენების შესაძენად ფული, შეჰქმნეს მებაღეობის ბრიგადა.

სწორედ ამ დროს გორში აგრორწმუნებულთა კურსები შეიქმნა. სიკო ცაციაშვილზე კარგს, აბა ვის შევარჩევთო, თქვეს აქაურმა კოლმეურნეებმა და მართლაც სოფლის თაგკაცებმა კურსებზე სიკო გაგზავნეს. ბევრი რამ ისწავლა, ბევრი რამ გაიგო სწავლას მოწყურებულმა სიკომ, მაგრამ ყველაზე მეტად ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის ცხოვრებამ და საქმიანობამ დაინტერესა.

კურსების დამთავრების შემდეგ აგროტექნიკოსად ქვეშის კოლმეურნეობაში სიკო დანიშნეს. ბევრს სასაცილოდ არ ეყო ეს. საიდან სადაო, ამბობდნენ ისინი. სიკო ჩვენსავით უსწავლელია და აგროტექნიკოსობისა რა გაეგებაო.

ამ ლაპარაკს ბოლო მაშინ მოეღო, როცა კოლმეურნეობამ ბაღების გაშენება დაიწყო.

სიკო ცაციაშვილმა ერთი ჰექტარი ნაკვეთი აიღო და მონდომებით შეუდგა მის მომზადებას. უწინარეს ყოვლისა შეამოწმა მთელი ფართობი. გადაასწორა ხვნისათვის ხელის შემშლელი, უსწორმასწორო ადგილები, შეავსო თხრილები, ამოძირკა ჯაგნარები. ნაკვეთი 25 სმ. სიღრმეზე მოხნა. ბაღის დაგეგმვის წინ ჯერ აოშვა ჩაატარა, ხოლო შემდეგ გადაფარცხა. ბაღის დაგეგმვა სწორკუთხური წესით მოახდინა, რადგან ეს მექანიზაციის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ხეხილის დარგვამდე ორი თვით ადრე ერთი მეტრის სიგანის და ნახევარი მეტრის სიღრმის ორმოები დათხარა. პირველი ბარის მიწა ერთ მხარეს დაყარა, ხოლო დანარჩენი მეორე მხარეს. დარგვამდე რამდენიმე დღით ადრე ორმოები მიწით შეავსო. ორმოში ჯერ პირველი ბარის პირის მიწა ჩაყარა, ხოლო ქვევითა ფენა კი ზევით მოაქცია. ხეხილი ნოემბრის პირველ რიცხვებში ჩაყარა.

ორმოში ნამყენს კარგად გაუშალა ფესვები, ნაკელგარეული ფხვიერი მიწა მიაყარა და ზედაპირი ფეხით კარგად მიუტკეპნა.

სიკომ თანასოფლელებს საქმით დაუმტკიცა, რომ მან კარგად იცოდა ბაღის გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკური წესები. კოლმეურნეებს ახლა უკვე სჯეროდათ მისი. რაღას არ ეკითხებოდნენ, რჩევა-დარიგებას სთხოვდნენ. სიკოც დაუზარებლად ეხმარებოდა ყველას, კურსებზე მიღებულ ცოდნას და წლების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას უზიარებდა.

ხეხილს ისევე უნდა მოვლა, როგორც ადამიანსო, ხშირად ამბობს სიკო, და მართლაც, აგერ უკვე ოცდასამი წელია დღედაღამ თავს დასტრიალებს თავისივე ხელით გაშენებულ ბაღს.

პატარა ნარგავებს შვილებივით უვლიდა, ეფერებოდა და არაფერს აკლებდა; არც გამობარვას, არც გაფხვიერებას, სასუქსა და წყალსაც უხვად უმარჯვებდა, დროზე ატარებდა ხეხილის გახილვასა და გასხვლას.

როცა თეთრად გადაპენტილმა ხეხილმა პირველი ნაყოფი გამოიღო, სიკო სიხარულით ცას დაეწია.

დღეს დღე მოსდევდა, თვეს თვე. ნაყოფი დამსხვილდა, შეფერიანდა, დამწიფდა. ჰექტარზე ერთი ცენტნერი მოსავალიც ვერ მიიღო იმ წელს სიკომ, მაგრამ მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; ეს ხომ პირველი მოსავალი იყო. ამის შემდეგ ყოველწლიურად სულ უფრო იზრდებოდა ცენტნერების რაოდენობა. 1948 წლის მოსავალმა 400 ცენტნერს მიაღწია. ეს იყო ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში სარეკორდო მოსავალი, მაგრამ გამოცდილი მებაღე ამით როდი დაკმაყოფილდა. იმდენი იყოჩაღა, იმდენი იმარჯვა, რომ 1950 წელს ერთ ჰექტარზე 470 ცენტნერი ვაშლი მიიღო.

მთელ სოფელს უხაროდა სიკოს წარმატება, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთი კოლმეურნეებიც, რომლებიც გაიძახოდნენ, გააფორმეთ ჩვენზეც ეს ბაღი და ნახავთ მოვიყვანთ თუ არა ხილის ასეთ დიდ მოსავალსო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ კენჭიც კი ჰყარეს, მაგრამ ბედი იყო თუ სიმართლის ზეიმი, ეს ბაღი კვლავ სიკო ცაციაშვილს ერგო.

თქმა არ უნდა, კენჭის ყრამ გული ატკინა სახელოვან მებაღეს, მაგრამ საყვედური მაინც არავისთვის უთქვამს.

ზოგიერთი კოლმეურნე იმასაც ლაპარაკობდა, რომ ხილს რა მოვლა უნდა, როცა დრო ექნება თვითონვე მოისხამსო. ძველისძველიდან არსებობდა ყალბი შეხედულება, ვითომდა ხეხილმა ორ წელიწადში ერთხელ უნდა მოისხასო. ამას ხეხილის მეწლეობას ეძახდნენ.

გორის რაიონში სიკო ცაციაშვილი ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საქმით დაამტკიცა მეწლეობის არასისწორე. უკვე რამდენიმე წელია მისი ბაღი ყოველ წელს ხილის უხვ მოსავალს იძლევა.

გასულ წელს ერთმა იმ კოლმეურნეთაგანმა, რომელიც ცაციაშვილისეულ ბაღის თავისზე გაპიროვნებას ცდილობდა, ხილის უხვი მოსავალი მიიღო და სიკოსთან თურმე ასე მოიბოდიშა:

— რა საჭიროა ძველი ამბის გახსენება, რაც იყო-იყო. მოხარული ვარ, რომ შენი დახმარებით მეც გავიგე ის, რაც შენ ჩემზე ადრე იცოდი. ახლა კი მგონი აღარ ჩამოგრჩები.

ეს კოლმეურნე გამონაკლისი როდია. არა ერთმა კოლმეურნემ გაიგო სიკოს დახმარებით ხილის უხვი მოსავლის მოყვანის „საიდუმლო“. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ალ. ნატრიაშვილი, ს. ბიბილური, გრ. და ელ. საბაშვილები.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ ისწავლა სიკო ცაციაშვილმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ახლა იგი ყოველდღე ამას თავის მეზობლებს ასწავლის. ქართველ მეხილეზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მეხილეობის პავილიონში გაშენებულ მიჩურინის ბაღს, რომელზედაც წარმოდგენილია 500 ჯიშის მსხმოიარე ხეხილი.

— ეს ბაღი მართლაც ბაღია, — ეუბნება თანასოფლელებს ცაციაშვილი, — გაფხვიერებული ნიადაგი, ისე სუფთაა, რომ ერბო აიკრიფება, ბაღში არაფერია დათესილი. ჩვენში კი აქა-იქ ჯერ კიდევ თესავენ ბაღებში სიმინდს, ჭარხალს, ბალახს. კარგი იქნება თუ ჩვენთანაც დაინერგება ბაღის ტრაქტორებით ხვნა. ტრაქტორის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ხვნის დროს ხესთან მიახლოვებისას სახნისი ავტომატურად შეიწევს და ნარგავს აღარ აზიანებს. ასევე კარგია, თუ ჩვენშიც გამოვიყენებთ, მექანიზაციის პავილიონში წარმოდგენილ კომბინირებულ მანქანას, რომელიც იხმარება მავნებლების საწინააღმდეგო ფხვნილის შესაფრქვევად და ხსნარის შესასხურებლად.

წელს ქვეშის კოლმეურნეობას ხილის უხვი მოსავალი აქვს. თითქმის ყველა ბაღს თანაბრად ასხია, მაგრამ სიკო ცაციაშვილზე გაპიროვნებული ბაღი მაინც ყველასაგან გამოირჩევა.

ერთი ჰექტარი არცთუ ისე დიდია, მასში სულ 107 ძირი კეხურა დგას. როგორც ვარაუდობენ, ამ პატარა ბაღში წელს 500 ცენტნერი ხილი მოიკრიფება. ეს კი კოლმეურნეობას ნახევარ მილიონამდე მანეთს მისცემს.

რაც დრო გადის, ამბობენ ქვეშელი კოლმეურნეები, სიკო ცაციაშვილი სულ უფრო მეტი ხალისითა და მონდომებით მუშაობს, თითქოს ძალ-ღონეც ემატება და ახალგაზრდავდებაო.

როცა დიდი ხნის შემდეგ ამ სტრიქონების ავტორმა სიკო ცაციაშვილი ნახა სწორედ ეს უთხრა, სიკო გაახალგაზრდავებულხარო.

— შეიძლება, — ჩაილაპარაკა სიკომ, — ახლა მე ხეხილს გაახალგაზრდავებ და კაცი რომ გაახალგაზრდავდეს რა გასაკვირია.

ხეხილის გაახალგაზრდავებისას გამოცდილი მებაღე ტოტებს ამოკლებს, გასხლული ტოტები კი იძლევიან ვეგეტაციურ ნაზარდს, რომელზედაც შემდეგში სანაყოფე ტოტები იზრდებიან. ამის შედეგად ხეხილის მსხმოიარობის პერიოდი რამდენიმე წლით იზრდება.

რამდენიმე წელი ცოტაა... სიკო ცაციაშვილი ახლა იმას ცდილობს, რომ როგორმე ათეული წლებით მოახდინოს ხეხილის გაახალგაზრდავება. ასეთ ბაღს კი სიკოსავით გაახალგაზრდავებული მებაღე უნდა...

მეორე ბუნება

გრ. ჩიქოვანი

ამბიერ ქვეყანას უწოდებენ საქართველოს სხვადასხვა ხალხები. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ ჩვენთან უფრო უხვად ანათებს მზე, ვინემ ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში? არა!

1928 წელს მაქსიმ გორკიმ თბილისის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა და აღნიშნა:

„მე, ამხანაგებო, როგორც თქვენ ყველა, რასაკვირველია, აღტაცებული ვარ ბუნებით, მაგრამ ჩემთვის ამ ბუნებაზე უფრო მშობლიურია ის ბუნება, რომელსაც მე ვიფასებ და პატივსა ვცემ, და ვიტყვი კიდევაც ამჟამად უარყოფილი სიტყვით — წმიდათაწმიდად ვიფასებ და პატივსა ვცემ. ეს ბუნება შექმნილია ადამიანის ხელით. ეს ის მეორე ბუნებაა, რომელსაც ჩვენ, ადამიანები ვქმნით ამ ქვეყანაზე პირველი ბუნების ნაცვლად.

ამხანაგებო, ის, რასაც ადამიანი აკეთებს, უფრო მნიშვნელოვანია იმაზე, რასაც ბუნება აკეთებს, რომლითაც ჩვენ დავალებული ვართ მხოლოდ იმით, რომ ის წარმოგვშობს ამ ქვეყნად, დიახ, ის წარმოგვშობს, ხოლო ყველაფერი დანარჩენი ჩვენგანაა. ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ ჩვენი კეთილდღეობისათვის, ყველა მატერიალური ღირებულება, რომელიც გვეხმარება ცხოვრებაში, ყველა მანქანა, რომელიც აადვილებს მუშის შრომას, — ყველაფერი ეს ადამიანის ხელით კეთდება.

ეს ადამიანის შრომაა, ეს ჩვენი ქმნილებაა, ეს — ჩვენ ვართ მეორე ბუნების შემქმნელნი“.

გორკის ეს დიადი სიტყვები მარმარილოს დაფებზე უნდა იყოს ამოკვეთილი და აღმართული ჩვენი დიდი ქვეყნის გზაჯვარედინებზე, უანებსა და პლანტაციებში, ბაღებსა და ვენახებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჭიშკრებზე, ტყეებში და წყალსაცავ ზღვებზე. ყველგან თვალწინ უნდა გვედგას და გვახსენებდეს, რომ ეს ჩვენ, საბჭოთა ადამიანები ვქმნით ჩვენი ხელით მეორე ბუნებას, ჩვენ ვქმნით ჩვენი ხელით ყოველივე იმას, რაც ჩვენ ცხოვრებას ხდის მდიდარს, მზიურს.

აი ასეთი ბუნების, ადამიანის ხელით შექმნილ მეორე ბუნების გამო უწოდეს საქართველოს მზიური!

გლეხი საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა მეორე ბუნების შექმნას. ხალხურ ზღაპრებსა, სიმღერებსა და ლექსებში ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ ამ მეორე ბუნებას. ხალხს სწამდა, დადგებოდა დრო და თვითონ შეიქნებოდა ბატონ-პატრონი მიწის, რომელსაც შეუცვლიდა სახეს, რომლისაგან მიიღებდა იმას, რასაც მოისურვებდა.

ამ იმედით აღამებდა ქართველი გლეხი თავის დუხჭირ დღეებს აუტანელ შრომასა და ჯაფაში. პირველ ბუნებაში კარგს არაფერს ხედავდა, არ უყვარდა, არც იყო მისი. იგი ბატონსა და მემამულეს ეკუთვნოდა.

ამას წინათ გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადში“ ვიყავი. ჩემს თვალწინ მთელი თავისი წარმტაცი სილამაზით გადაიშალა ბაღებითა და ვენახებით, პლანტაციებითა და ყანებით დაფარული ტირიფონის ველი. სიმწიფეში შემავალი, ნაყოფის სიმძიმით დახრილი ვაშლის, ატმის, მსხლისა და სხვა ხეხილთა დაუსრულებელი მწკრივები, პურის და სიმინდის ყანები, ჭარხლისა და მზესუმზირის პლანტაციები ზღვასავით გამსკდარა. შესაქერი ველს და უნებურად გაგონდება ალექსი მაქსიმის-ძის სიტყვები. ყველაფერი, რაც თვალს გტაცებთ ხელთუბანში, გულს გიხარებთ და გზიბლავთ, რაც გაოცებთ და სიამაყის გრძნობას გგვრით, ეს ადამიანის ხელითა და გონებით შექმნილი მეორე ბუნებაა.

ოთხმოცი წლის იოსებ ბაშინჯაელი ნელი, მოხუცის ნაბიჯებით მომყვება ბაღში.

— წინათ გლეხს ერთი ბინა ხეხილი არ ედგა. არც მიწა გვქონდა საკმაო და არც წყალი სარწყავი. ხეხილი კი, — თქვა მწარე ღიმილით მოხუცმა, — როგორც მოგეხსენებათ, ისევე ვერ ივარგებს უწყლოდ, როგორც ადამიანი უჰაეროდ.

ბაშინჯაელი თვითონ ყოფილა მონაწილე სოფლების — მერეთის, კარბის, ფლავის, ფლავისმანისა და ქვემო და ზემოსარცევის ხელჩართულ ბრძოლებისა სარწყავი წყლისათვის. გლეხს წინათ აქ მხოლოდ ხორბალი და სიმინდი მოყავდა. ბაღები მემამულეებს ჰქონდათ.

ახლა არა მარტო ხელთუბანში, მთელი გორის რაიონში, საითაც კი გაიხედავ, ირგვლივ ბაღებია გადაშლილი, სარწყავი არხებით დასერილია მიწები. ვერ ნახავთ ისეთ კოლმეურნეს, რომელსაც თავის საკარმიდამოზე ბაღი და ვენახი არ ჰქონდეს...

ხელთუბანი დიდი, ეკონომიურად ძლიერი სოფელია. მის ბაღებს, ყანებს, პლანტაციებს და ვენახებს ორი ათასზე მეტი ჰექტარი უკავიათ. კოლმეურნეობას მომსახურებას უწევს ახალსოფლის მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელიც აღჭურვილია ძლიერი და უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. ხალხი აქ შრომისმოყვარე და გამრჯეა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში ხელთუბნელთა კოლმეურნეობის საქმე დღითი დღე უკან მიდიოდა.

კოლმეურნეობის მოსავალი წლიდან წლამდე მცირდებოდა. არტელი ვერ აუდიოდა მინდვრის სამუშაოებს. ვერ უვლიდნენ ბაღებსა და ვენახებს. ხელთუბნელები ხედავდნენ, რომ მათი ჩამორჩენის მიზეზი გამგეობის სუსტი ხელმძღვანელობა იყო.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ივანე ჯანეზაშვილმა ვერ გაართვა თავი არტელის მრავალდარგობრივ, მსხვილ და რთულ მეურნეობას. მას არ გააჩნდა საამისო ცოდნა, განათლება, ორგანიზატორული ნიჭი და საქმის სიყვარული.

კოლმეურნეობის კომუნისტებმა პირველმა დააყენეს საკითხი თავმჯდომარის გადარჩევის შესახებ. საჭირო იყო ხელმძღვანელად ისეთი კაცი მოეძებნათ, რომელსაც უმაღლესი აგრონომიული განათლება ექნებოდა. ამას მოითხოვდა თვით ცხოვრება, კოლმეურნეობის რთული და ძლიერი მეურნეობა.

გორში ამ დროს რაიონის მთავარ აგრონომად მუშაობდა სოფლად მუშაობის ოცდაოთხი წლის გამოცდილების მქონე აგრონომი ალექსანდრე შარაშიძე, მას ხელთუბნელები კარგად იცნობდნენ, იცოდნენ, თუ რა სიყვარულითა და ერთგულებით ეკიდებოდა იგი საქმეს.

1952 წლის აპრილში ალექსანდრე შარაშიძე ერთხმად აირჩიეს „განთიადის“ თავმჯდომარედ.

ახალმა თავმჯდომარემ მუშაობის დაწყების პირველ დღიდანვე მთავარი ყურადღება კოლმეურნეობის შემოსავლის მთავარ წყაროს — მებაღეობას მიაქცია.

ხელთუბნელები ყოველწლიურად სულ უფრო ნაკლებ მოსავალს იღებდნენ ბაღებიდან. ყოველწლიურად მცირდებოდა მათი შემოსავალი.

ალექსანდრე შარაშიძემ პარტიული ორგანიზაციის და გამგეობის დახმარებით ხელახლა ჩამოაყალიბა მებაღეთა მესამე და მეშვიდე ბრიგადები და ამ ბრიგადებში ისეთი ადამიანები შეარჩია, რომლებსაც ხილის უხვი მოსავლის მოწევის დიდი ხნის გამოცდილება ჰქონდათ.

კოლმეურნეობის სახელმოხვეჭილი მებაღე ვასო კობლიაშვილი წლების განმავლობაში მოწყვეტილი იყო თავის საყვარელ საქმეს, ის მემინდვრეობის ბრიგადაში მუშაობდა. კობლიაშვილს კოლმეურნეები იცნობდნენ, როგორც შრომის კარგ ორგანიზატორს და საქმის ერთგულ ადამიანს. გამგეობამ ვასო კობლიაშვილი მეშვიდე ბრიგადის ბრიგადირად დანიშნა.

მალე შეუცვალეს სახე ხელთუბნის ბაღებს ახალმა ბრიგადემ. არასოდეს ისეთი სიყვარულით და მონდომებით არ შეხებია ადამიანის ხელი ვაშლის, მსხლისა და ატმის ხეებს, როგორც იმ წელიწადს.

მე და ვასო კობლიაშვილი ვაშლის ხეთა მწკრივებშუა მივდივართ. მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებულ ტანჭმუხ ხეებს დასასრული არ უჩანთ. ძლივს იმაგრებენ ტოტები ნაყოფის სიმძიმეს. აი ჩვენი კეხურა, იქით შამპანური რენეტა, როზმარინი, ქართული სინაპი, ზამთრის ოქროს პარმენი, ყირიმული, ზამთრის ბანანი... ვასო კობლიაშვილი სიყვარულით აცქერდება ხეებს და ამბობს:

— იმ წელიწადს დავრწმუნდი, თუ რისი გაკეთება შეუძლია ადამიანის ხელსა და გონებას. რამდენიმე თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ ფეხზე დავაყენეთ გაჩანაგებული ბაღები.

ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებულ ორმოცდაათ ცენტნერის ნაცვლად 82 ცენტნერი ვაშლი მოიწია. ზოგან კი ჰექტარზე — 129 ცენტნერი. მეხილეობის მესამე და მეშვიდე ბრიგადამ კოლმეურნეობას ერთი მილიონი შემოსავალი მისცა ერთ წელიწადში.

შემაღლებულზე ვიდექით. აქედან ხელისგულივით ჩანდა მთელი ხელთუბანი.

— შეხედეთ, — მითხრა ვასო კობლიაშვილმა. — აი ჩვენი შრომის ნაყოფი. — ბრიგადირმა ხელი ხარაჩოებისაკენ გაიშვირა. მარტო ერთ ქუჩაზე ხუთი თუ ექვსი ორსართულიანი ქვიტკირის სახლი შენდებოდა. — როგორა ფიქრობთ? — მკითხა კობლიაშვილმა. — რამდენი სახლი შენდება ახლა ჩვენს სოფელში? — ჩემს პასუხს არ დაუცადა. — ორასი ორ-ორ სართულიანი სახლი შენდება, — თქვა ფარული სიამაყით და გაიღიმა. — ერთ წელიწადში ორასი ორსართულიანი სახლი ხელთუბანში!

წამით გაჩუმდა, თითქოს მე მადროვა, რომ ჩავფიქრებოდი მის ნათქვამს, და შემდეგ განაგრძო:

— ბაღები ჩვენი სიამაყეა...

— განა ეს ახალი თავმჯდომარის მოსვლამდე არ იცოდთ? — ვკითხე ბრიგადირს.

— ჩვენ კი ვიცოდით, მაგრამა ჩვენმა თავმჯდომარემ არ იცოდა და ვერ შეიგნო...

— თურმე საკარმიდამო ნაკვეთებზედაც არ გქონდათ ბაღი მოვლილი.

— ახლა?

— ახლა შინ სამუშაოდაც საკმაო დრო გვრჩება. ჩვენთან წელს ბევრია ისეთი კოლმეურნე, რომელმაც სახელმწიფოს სამოცი და ოთხმოცი ათასი მანეთის ვაშლი მიჰყიდა.

ვასო კობლიაშვილი ნაყოფით დახუნძლულ ვაშლის ხესთან შედგა, ბიჯგი გაუმართა მიწამდე დაზნექილ ტოტს, მერე ჩემკენ მობრუნდა და დაფიქრებით მითხრა:

— როდესაც გავიგე, რომ მე, თავმჯდომარე და აგრონომი ილარიონ ციციშვილი გამოფენის მონაწილედ დაგვამტკიცეს, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გასული წლის მოსავლისათვის ჩვენ მაღალი შეფასება მივიღეთ, მაგრამ წელს ხომ უკეთ ვიმუშავეთ. მას შემდეგ, რაც თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებში წავიკითხეთ, რომ მებაღეობის საქმე დამაკმაყოფილებელი არ არის იმ რაიონებში, რომლებშიაც მეხილეობას ძველთაგანვე მისდევდნენ, და ჩამოთვლილ ოლქებსა და რესპუბლიკებს შორის საქართველოც იყო ნახსენები, ჩვენ შეგვრცხვა. ყოველი ჩვენგანისათვის ნათელი გახდა, რომ ჩვენს კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ გამოუყენებია ყველა არსებული შესაძლებლობა მეხილეობის საქმის წინ წასაწევად. ახლა მე გაბედულად შემიძლია ჩვენს მშობლიურ პარტიას ვუთხრა, რომ ხელთუბნელებს შეუძლიათ გაცილებით მეტი ხილი მისცენ სამშობლოს. აი წავალ მე სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, შევხვდები იქ ჩვენი დიდი ქვეყნის შესანიშნავ მებაღეებს, გავეცნობი მათ გამოცდილებას და პირობას დავდებ პარტიისა და მთავრობის წინაშე, რომ ჩემი სარეკორდო მოსავალი — ერთ ჰექტარიდან 129 ცენტნერი ვაშლი, მთელი კოლმეურნეობისათვის საშუალო მოსავალი გავხადო.

— ეს არც ისე იოლი საქმეა.

— იმ ტექნიკით, რომელიც წელს მტს-მა ჩვენ მოგვცა და მომავალში გვექნება, სასწაულებს მოვახდენთ. — ბრიგადირმა თვალი მოავლო ბაღებსა და პლანტაციებს. — შეხედეთ, საითაც გაიხედავთ, ყველგან მანქანა, ყველგან მექანიზატორი მუშაობს, თითქოს ბაღში და ყანაში კი არა, ქარხანაში ვმუშაობდეთ.

მე და ბრიგადირი ახლად გაშენებულ ბაღში გადავედით.

— შარშან გავაშენეთ შვიდ ჰექტარზე.

— ცოტას აშენებთ ახალ ბაღს.

— მართალია, ჩვენ შეგვიძლია სამი ამდენი გავაშენოთ ყოველ წელიწადს, — მიპასუხა ბრიგადირმა. — არაფერი ისე არ ამშვენებს მიწას, როგორც ბაღები.

ისევ გორკის სიტყვები გამახსენდა: „მთელი საუკუნე, რომ ვიცოცხლო სულ ბაღებს გავაშენებ! მიწას პატარძალივით მოვრთავდი, როგორც საცოლეს... ძვირფას ზურმუხტად ვაქცევდი...“

— რა გიშლით ხელს, რომ ცოტას აშენებთ ახალ ბაღებს? — ვკითხე კობლიაშვილს.

მან შემომხედა და ჩაიცინა.

— გეგმა...მიწები საკმარისი გვაქვს, ხალხს მონდომება არ აკლია, მაგრამ გეგმის წინააღმდეგ რას გავხდებით...

არ აკმაყოფილებთ ხელთუბნელ კოლმეურნეებს ის გეგმები, რომელსაც მათ აძლევენ. არც იმ დახმარებით არიან კმაყოფილნი, რომელსაც მეცნიერები უწევენ. ხელთუბნელები უფრო დიდ გეგმებზე და დიდ პერსპექტივებზე ფიქრობენ. გამსჭვალულნი ახალის გრძნობით, ეხწრაფვიან, რაც შეიძლება მალე დანერგონ თავის მუშაობაში ყველა ის ახალი, რაზედაც ჩვენი სოფლის მეურნეობის გამოჩენილი ნოვატორები და მეცნიერები მუშაობენ. მათ უნდათ, რაც შეიძლება უფრო ფართოდ განავრცონ თავის მინდვრებზე ბაღები და ვენახები, ყანები და პლანტაციები. მათ ამოძრავებთ ერთი დიდი ძალა — კიდევ და კიდევ შექმნან და გაზარდონ ის მეორე ბუნება, რომლითაც აღტაცებაში მოდიოდა გორკი, — კომუნიზმის ბუნება.



ახალ ჩინეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. გიორგაძე

1949 წლის 1 ოქტომბერს ჩინელი ხალხის მრავალი წლის გმირული ბრძოლა ძლევამოსილი გამარჯვებით დაგვირგვინდა — განდევნილ იქნა მოღალატე ჩანკაიშელთა რეაქციული ხროვა და უცხოელი იმპერიალისტები, მოპოვებულ იქნა თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ეროვნული სუვერენიტეტი. ჩინელი ხალხის ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით შეიარაღებული ჩინეთის სახელოვანი კომუნისტური პარტია.

რევოლუციის გამარჯვება ჩინეთში და სახალხო რესპუბლიკის შექმნა მოასწავებდა ძირეულ შემობრუნებას 600 მილიონიანი ჩინელი ხალხის ცხოვრებაში, უდიდეს მოვლენას თანამედროვე მსოფლიო ისტორიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩინეთის ქვეყანა სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგა. წარმატებები, რომლებიც ჩინელმა ხალხმა მოიპოვა ამ ხნის განმავლობაში, ჭეშმარიტად დიდია. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩინეთში განხორციელდა რევოლუციური აგრარული გარდაქმნები, რომლებმაც ხორცი შეასხეს გლეხთა საუკუნეობრივ ოცნებას მემამულეთა მიწების მათთვის



შანხაი ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამრეწველო ცენტრია. პროდუქციის გამოშვების გადიდების და ეკონომიის რეჟიმის დაცვის წყალობით ქალაქის მრეწველობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. შანხაიში 13 ათასამდე სამრეწველო საწარმო მუშაობს. განთავისუფლებამდე კი მასში მხოლოდ 4 ათასი საწარმო იყო.

სურათზე: მუშათა რაიონებს შანხაის ცენტრთან ახალი, კომფორტაბელური ავტობუსები აკავშირებს.

→

ტიანძინი ჩინეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრია. სურათზე: ტიანძინის სახელმწიფო უნივერმაღის შენობა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მოწყობილია წიგნების კიოსკები, რომლებშიც ვაჭრობა გამყიდველთა გარეშე წარმოებს.

საქსოვი ფაბრიკის «ჩინეთის მანუფაქტურის» ერთ-ერთი საამქრო.

გადაცემის შესახებ. აგრარული რეფორმა ხორციელდებოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის გატარების შედეგად, გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. 1953 წლის დასასრულისათვის აგრარული რეფორმა ჩინეთში ძირითადად დამთავრებული იყო. აგრარული რეფორმის შედეგად საბოლოოდ მოისპო მიწათმოქმედების ფეოდალური სისტემა და მემამულეთა მიწა უსასყიდლოდ გადაეცა უმიწო და მცირემიწიან გლეხებს. 300 მილიონზე მეტ გლეხს მიეცა 47 მილიონ ჰექტარამდე მიწა. ამასთან, გლეხობამ მიიღო დიდძალი მარცვლეული, გამწევი პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

აგრარული რეფორმის გატარებამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას. ყოველწლიურად დიდდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. 1952 წელს მარცვლეულის მოსავალი გაიზარდა 45 პროცენტით 1949 წელთან შედარებით, 1953 წელს — 2 მილიონი ტონით 1952 წელთან შედარებით. ხოლო 1954 წელს, წინასწარი ცნობებით, აღებულია შარშანდელზე 500 ათასი ტონით მეტი შემოდგომის პური. დიდი სამუშაოები ხორციელდება ბამბასთან და წყალდიდობასთან საბრძოლველად. წყალუხვ მდინარეთა დასამორჩილებლად გაყვანილია მტკიცე ჯებირები, წყალსაცავები და სარწყავი არხები. ადამიანები იმორჩილებენ მდინარეებს, მოსავლიანობის გადიდებისა და ენერგიის მისაღებად იყენებენ მათ. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქვეყანამ მიიღოს სულ უფრო და უფრო მეტი ბრინჯი, ხორბალი, ბამბა, აბრეშუმის პარკი, ზეთოვანი კულტურები, ხილ-ციტრუსები და სხვ.

ჩინეთის სოფლის ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა ნიადაგი მოუმზადა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სხვადასხვა ფორმების აღმოცენებას და ინდივიდუალური გლეხური მასის მასში გაერთიანებას. 1954 წლის დასაწყისისათვის კოოპერაციის ამა თუ იმ ფორმაში გაერთიანებულ გლეხთა რიცხვი შეადგენდა მთელი გლეხობის 43,04%-ს. 1957 წლისათვის გათვალისწინებულია მთელ გლეხურ მეურნეობათა დაახლოებით 35%-ის გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში.

აგრარულმა რეფორმამ, სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების აღმავლობამ აამაღლა ჩინელი გლეხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე, გაადიდა მისი შემოსავალი და გზა გაუხსნა შეძლებული ცხოვრებისაკენ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია მრეწველობის აღდგენისა და მისი განვითარების საქმეში. ჯერ კიდევ 1952 წლის დასასრულისათვის ფოლადის, თუჯის, დაზგების და მსუბუქი მრეწველობის დარგების მთელ რიგ ნაწარმთა პროდუქციამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო 1949 წელთან შედარებით თითქმის 8-9 ჯერ გაიზარდა. სერიოზული წარმატებებია მოპოვებული პირველი ხუთწლიანი გეგმის პირველ 1953 წელს. 1953 წლის სამრეწველო წარმოება 1952 წელთან შედარებით გადიდდა 23 პროცენტით. გასულ წელს აიგო ანშანის დიდი მეტალურგიული კომბინატი, მწყობრში ჩადგნენ ახალი ფაბრიკები და ქარხნები. დიდი წარმატებებია მოპოვებული ტრანსპორტის დარგში. გაყვანილია რკინიგზის ახალი ხაზები, რომელთა საერთო სიგრძე 1.470 კილომეტრია. 1954 წელს გათვალისწინებულია 700-800 კილომეტრი სიგრძის 9 ახალი რკინიგზის ხაზის გაყვანა.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის აღმავლობის საქმეში ჩინეთს უდიდეს დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. 1953 წელს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ჩინეთის სამრეწველო საწარმოებისა და ელსადგურების მშენებლობაში სსრ კავშირის მონაწილეობის შესახებ. ამ შეთანხმების საფუძველზე საბჭოთა კავშირი ჩინეთს დაეხმარება 141 მსხვილი საწარმოს აშენებასა და რეკონსტრუქციაში. საბჭოთა კავშირი ჩინეთს აწვდის პირველხარისხოვან მანქანა-იარაღებს, ნედლეულს, ეხმარება მას შეღავათიანი კრედიტების მიწოდებით, სპეციალისტების მივლინებით და სხვ.

ჩინეთი უძველესი კულტურის ქვეყანაა. მაგრამ ფეოდალიზმისა და იმპერიალიზმის ბატონობის დროს ჩინელ ხალხს წართმეული ჰქონდა თავისი შემოქმედებითი ძალისა და ნიჭის გამოვლინების საშუალება. გომინდანის რეაქციული რეჟიმის ორ ათეულ წელზე მეტი ხნის ბატონობის დროს ჩინეთის კულტურის განვითარება კიდევ უფრო შეფერხდა. მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტმა წერა-კითხვაც არ იცოდა. სახალხო რევოლუციის გამარჯვების დღიდან კულტურა ხალხთა ფართო მასების კუთვნილება გახდა. გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადა და ძირითადად ლიკვიდირებული იქნა მშრომელი ხალხის მასობრივი უცოდინარობა. კომუნისტურმა პარტიამ და სახალხო მთავრობამ, უპირველეს ყოვლისა, გააფართოვეს დაწყებითი სკოლების ქსელი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ამჟამად დაწყებით სკოლებში სწავლობს 50 მილიონზე მეტი ბავშვი, საშუალოში — 3,5 მილიონამდე, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 220 ათასზე მეტი სტუდენტი, რაც 70 პროცენტით მეტია, ვიდრე 1949 წელს იყო.

ჩინეთის სახალხო რევოლუციამ მოკლე დროში აამაღლა მშრომელი მასის კულტურული დონე. ქვეყანაში მტკიცედ მკვიდრდება ახალი იდეოლოგია, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მეცნიერულ და რევოლუციურ მსოფლმხედველობაზე დამყარებული იდეოლოგია.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ქვეყნის კულტურულ მშენებლობაში ჩააბა კულტურის ყველა დემოკრატიული მოღვაწე. წინ მიდის და ვითარდება ჩინეთის ლიტერატურა, რომლის განვითარებაზე კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია რუსულმა კლასიკურმა და საბჭოთა ლიტერატურამ. ჩინეთის მწერლები და პოეტები სახალხო გამათავისუფლებელი არმიის რიგებში იბრძოდნენ, ახლა კი მთელ ხალხთან ერთად დაუღალავად აშენებენ სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოს. აღორძინების გზას დაადგა ჩინური თეატრი. გაიფურჩქნა და აყვავდა კინემატოგრაფია. შეიქმნა ახალი ხალხური ხელოვნება, რომელიც სოციალისტური რეალიზმის გზით ვითარდება; დიდი ყურადღება აქვს დათმობილი წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემას, რომელთა საერთო ტირაჟი მილიონობით განისაზღვრება. განსაკუთრებით ფართოდ არის გამოცემული და გავრცელებული მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინისა და მაო ძე-დუნის ნაწარმოებები.

დიდი ჩინელი ხალხი, კომუნისტური პარტიისა და თავისი ნაცადი ბელადის ამხანაგ მაო ძე-დუნის წინამძღოლობით, მტკიცედ აშენებს და ამკვიდრებს ახალ, ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებას. პარტიისა და სახალხო მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად სულ უფრო და უფრო კლებულობს სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასები, იზრდება რეალური ხელფასი და მშრომელთა მყიდველობითი უნარიანობა. დღითი-დღე უმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. ყოველწლიურად ასიათასობით მუშა-მოსამსახურე ისვენებს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, შემოღებულია სოციალური დაზღვევა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურმა გრანდიოზულმა გარდაქმნებმა, ხალხის დემოკრატიული დიქტატურის განმტკიცებამ მოამზადა პირობები ეკონომიური მშენებლობის შემდგომ ეტაპზე გადასვლისათვის. 1953 წლიდან ჩინეთის მშრომელები შეუდგნენ პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას, რაც ითვალისწინებს ფართო მასშტაბით გეგმაზომიერ მშენებლობას, ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას. პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას, სახალხო დემოკრატიული წყობილების შემდგომ გაძლიერება-განვითარებას და მძლავრი მატერიალური ბაზის შექმნას სოციალიზმისათვის. ჩინელი ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს და იწონებს კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებულ სოციალისტური საზოგადოების აშენების პროგრამას და თავისი ყოველდღიური გმირული და თავდადებული მუშაობით ცხოვრებაში განუხრელად ატარებს მას.

ჩინელი ხალხის ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება. ჩინეთის სახალხო კონსტიტუცია დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი კანონმდებლობით განამტკიცებს თავისუფლებისათვის ჩინელი ხალხის ხანგრძლივი გმირული ბრძოლის შედეგებს, განამტკიცებს ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც ჩინელი ხალხის ცხოვრებაში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე. და განსაზღვრავს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა „უზრუნველყოფს ექსპლოატაციის სისტემის თანდათანობით მოსპობას და სოციალისტური საზოგადოების აშენებას“.

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა, ჩინელ ხალხთან ერთად სიხარულის გრძნობას განიცდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების გამო. „ამ კონსტიტუციის მნიშვნელობა შორს სცილდება ჩინეთის საზღვრებს, რადგან იგი მოწმობს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების ახალ დიდ გამარჯვებას, მოწმობს იმას, რომ საქმე, რომელიც დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით, მშობლიური, ღვიძლი საქმე გახდა ასეულ მილიონობით ახალი ადამიანისათვის. ახალი ცხოვრების მშენებლობის დროშა ახლა ძლევამოსილად ფრიალებს მძლავრ, ერთიან და ურყევ სოციალისტურ ბანაკში, რომელიც ცხრაას მილიონ კაცს აერთიანებს“ („პრავდა“).

ჩინეთის ხალხის წარმატებები აცოფებს მსოფლიო იმპერიალიზმს. ამერიკელი იმპერიალისტები, რომელთაც ჩაეფუშათ თავიანთი აგრესიული ზრახვები, კვლავ აკოწიწებენ ახალ ვერაგულ გეგმებს ჩინეთის, კორეისა და აზიის სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხის დასამონებლად, მაგრამ მათი ყველა ღონისძიება ჩასაფუშავად არის განწირული. შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ბურჯია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობა დღითი დღე მტკიცდება, რაც დიდ როლს ასრულებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომი გაძლიერებისათვის ბრძოლაში.

მშვიდობისმოყვარე დიდი ჩინელი ხალხი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ-ახალ წარმატებებს მოიპოვებს თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელების, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში, თავისი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების საქმეში.

(ფოტორეპროდუქციები გადმოღებულია ჟურნალიდან «კიტაი»).



სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის № 101 მეტალურგიული ქარხნის ახალმა მარტენის ღუმელმა გამოუშვა პირველი თუჯი.



ჯირინკუპინის საბჭოთა მეურნეობის საერთო ხედი.

ყამირ მიწებზე

1954 წლის 31 მარტს თბილისის რკინიგზის სადგურზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მიაცილებდნენ ყამირ და ნასვენ მიწებზე სამუშაოდ მიმავალ ახალგაზრდებს. საქართველოს თითქმის ყოველი მხრიდან იყვნენ აქ ჩამოსულები. პარტიის მოწოდების თანახმად, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირელთა მაგალითისამებრ, ისინი მიემგზავრებოდნენ ყაზახეთში, თვალუწვდენელ მიწებზე სიცოცხლის ასაღორძინებლად.

თებერვალში პირველი ეშელონი მოსკოველებმა გაგზავნეს, მას მიჰყვნენ ახალგაზრდები ლენინგრადიდან, კიევიდან, მინსკიდან, კრასნოდარიდან...

ჩვენმა რესპუბლიკამაც 160 კაცი გაამგზავრა აქტიუბინსკის ოლქში.

საქართველოდან გაემგზავრნენ ტრაქტორისტები, ზეინკლები, ხარატები — ბენო მჭედლიშვილი, ივანე ნაუმოვი, ილიკო კაციაშვილი, ავთანდილ გამხუაშვილი, გიორგი ბარნაბიშვილი და მრავალი სხვ.

საბჭოთა ხალხის ისტორიაში არა ერთი გმირული ფურცელი ჩაუწერია სახელოვან კომკავშირს. ამჯერადაც კომკავშირელები პირველები გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას. მათ კარგად ესმოდათ, რომ მარცვლეული მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია: რაც უფრო მეტ მარცვლეულს მოვიყვანთ, მით უფრო მეტი გვექნება მეცხოველეობის პროდუქტებიც.

ამიტომ არის, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი მიწების ათვისებას.

1954-55 წლებში უნდა ათვისებულ იქნას ყამირი და ნასვენი მიწების, სულ ცოტა, ცამეტი მილიონი ჰექტარი. მიმდინარე წელსვე ამ მიწებზე უნდა მოყვანილ იქნას ერთი მილიარდ ორას მილიონამდე ფუთი მარცვლეული.

ყაზახეთის ველებზე უხვი მოსავალი მოვიდა. საჭირო გახდა კომბაინერების მობილიზაცია, რომ ეს მოსავალი უდანაკარგოდ და თავის დროზე ყოფილიყო აღებული.

კომბაინებით დატვირთული პირველი ეშელონი ნავთლუღის რკ. გზის სადგურიდან ა/წ 26 აგვისტოს გავიდა. ამ ეშელონს თანდათან მიჰყვა კიდევ ექვსი ეშელონი. საქართველოს მინდვრებზე სახელმოხვეჭილი მექანიზატორები, სამშობლოს მოწოდებით, ახლა მოსავლის ასაღებად ყაზახეთის თვალუწვდენ მინდვრებზე მუშაობენ.

თითქო გუშინ იყოო, პარტიისა და მთავრობის დადგენილებას რომ ვკითხულობდით ყამირ და ნასვენ მიწების ათვისების შესახებ. ახლა კი კომბაინერთა ეშელონები მიდიან უხვი მოსავლის ასაღებად.

მარტო საქართველოდან როდი წასულან კომბაინერები. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებიდან, სადაც მოსავლის აღება უკვე დამთავრდა, გაემგზავრნენ მექანიზატორები, რათა უდანაკარგოდ აიღონ ყამირი მიწების პირველი მოსავალი.

სასიამოვნოა ყაზახეთის გაშლილ ველებზე მშობლიური მელოდიების მოსმენა. ჯირინკუპინის საბჭოთა მეურნეობის მეორე ბრიგადის წევრები — ივანე ნაუმოვი, ბენო მჭედლიშვილი, ილიკო კაციაშვილი, ავთანდილ გამხუაშვილი და ბიჭიკო სინჯიკაშვილი საჩუქრად მიღებულ პატეფონს უსმენენ.

ხაბდის რაიონის ჯირინკუპინის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტი გიორგი ბარნაბიშვილი კაჭრეთის რაიონიდანაა, ჩალაუბნელი.

საუკეთესო მუშაობისათვის ხაბდის კომკავშირის რაიკომმა იგი ქების სიგელით დააჯილდოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტიუბინსკის ოლქის პურის ყანებში თვითმფრინავით შეაქვთ ხელოვნური სასუქი. მფრინავები რუკის საშუალებით არკვევენ ნათესი ფართობების ადგილმდებარეობას.

მაგაჯანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვასილ პასევიკი (მარჯვნიდან მეორე) მფრინავ ანატოლი კობოლევს რუკაზე აჩვენებს ნათეს ფართობებს.

საქართველოს კომკავშირელებმა ყაზახეთის ყამირ მიწებზე წარგზავნილ ახალგაზრდებს საჩუქრები გაუგზავნეს. საქართველოს კომკავშირის ცეკას წარმომადგენელი ამხ. ობოლაძე პატეფონითა და ფირფიტებით აჯილდოებს ჯირინკუპინის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე კომბაინერ ავთანდილ გამხუაშვილს.

ავთანდილი სოფელ გლდანიდანაა. იგი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, რისთვისაც ხაბდის კომკავშირის რაიკომის მიერ იგი ქების სიგელით არის დაჯილდოებული.

ჯირინკუპინის საბჭოთა მეურნეობის მეორე ბრიგადის ნაკვეთზე საქართველოდან ჩასულმა ახალგაზრდობამ 1494 ჰექტარი მარცვლეული დათესა. ფოტოზე: პურის პირველი მოსავლის აღება კომბაინით. ტრაქტორს მართავს გიორგი ბარნაბიშვილი, კომბაინზეა ავთანდილ გამხუაშვილი.



ფოტო შ. ზიოზვილისა

მავნე გადმონაშთის წინააღმდეგ

პროფ. მ. სააკაშვილი

ლოთობას, ალკოჰოლიზმს საბჭოთა ქვეყანაში არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ნიადაგი, ჩვენში მისი აღმოცენება-განვითარების სოციალური საფუძველი არ არსებობს. ალკოჰოლიზმი უცხოა სოციალისტური ყოფისათვის და წარსულის მავნე გადმონაშთს წარმოადგენს. მაგრამ ჯერჯერობით კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლიან სასმელებს.

ალკოჰოლი ძლიერი შხამია. იგი, გარკვეული დამუშავების გზით, შეიძლება მიღებულ იქნას ყურძნიდან, ვაშლიდან, მსხლიდან და სხვა ხილიდან, კარტოფილიდან, ხორბლიდან, ანწლიდან და სხვ. საიდანაც არ უნდა მომზადდეს ალკოჰოლი, იგი ერთი და იგივე თვისებების მატარებელი შხამია. ერთი და იგივე ქიმიურ თვისებების მქონე სხვადასხვა მასალიდან მოპოვებული ალკოჰოლი მცირე ოდენობითაც კი უარყოფითად მოქმედებს, როგორც მცენარეებზე, ისე ცხოველებზე. თუ მცენარეს ალკოჰოლგარეულ წყლით დავუწყებთ მორწყვას, იგი ჩქარა ჭკნობას დაიწყებს. თუ მისცემთ ძაღლს ალკოჰოლის გარკვეულ რაოდენობის შემცველ საჭმელს — იგი დაიღუპება. ცხოველებზე ალკოჰოლის გავლენის შესასწავლად მეცნიერების მიერ ჩატარებულმა უტყუარმა ცდებმა და დაკვირვებამ დაადასტურა ორგანიზმზე ალკოჰოლის მომწამლავი, სასიცოცხლო ფუნქციების დამღუპველი გავლენა.

ადამიანის მიერ მაგარი სასმელების მიღების შემთხვევაში ალკოჰოლი ძალიან მალე (1-2 წუთის განმავლობაში) გადადის სისხლში და მისი საშუალებით სწრაფად ედება მთელს ორგანიზმს და სწამლავს მას.

ლოთობა იმდენად დამღუპველი და მავნე მოვლენა არის, რომ იგი უძველეს დროიდან მოყოლებული ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანში ზიზღსა და სიძულვილს იწვევს.

საინტერესოა, რომ შავი ჭირის თავზარდამცემი ეპიდემიების მძვინვარების ხანაში, ზოგიერთი მოაზროვნე ლოთობას, მისი დამზარალებელ მოქმედების მხრივ, შავ ჭირს უთანაბრებდა. ხოლო ძველი დროის ერთი გამოჩენილი ექიმი წერდა: ლოთობა განზრახ, თავისი ნებით გამოწვეული სიგიჟე არისო.

* * *

სწამლავს რა ცენტრალურ ნერვულ სისტემას და მის ისეთ რთულსა და უნატიფეს ნაწილს, როგორიც არის თავის ტვინის ქერქი, ალკოჰოლი თავის უარყოფით გავლენას პირველ ყოვლისა ცნობიერებაზე, ფსიქიკაზე ახდენს. ლოთობა ბღალავს ადამიანის საუკეთესო განძს — გონებას, აზროვნებას.

ლოთი, ალკოჰოლის განუწყვეტელი და უზომო მიღებით, ხელოვნურად იწვევს ფსიქიკურ და ფსიქომოტორულ ფუნქციების შეცვლას, დაკნინებას. დამტკიცებულია, რომ უკვე 20-50 გრამი ალკოჰოლის მიღება უარყოფითად მოქმედებს ფსიქიკურ ფუნქციებზე — (ადამიანში თავს იჩენს ყურადღების დაქვეითება; იგი ნაკლები მუყაითობით ეპყრობა საქმეს; და რაც უფრო რთულია შესასრულებელი სამუშაო, მით უფრო ჭეტად მატულობს შეცდომების რიცხვი; ყოველივე ამას, მცირე ხნის შემდეგ, თან ერთვის მუშაობის შენელება და სხვ.) ხოლო მისი მეტი რაოდენობით მიღება ფსიქიკურ მდგომარეობის მხრივ იწვევს სიმთვრალის ცნობილ სურათს, და რაც უფრო დიდი რაოდენობით იღებს ადამიანი ალკოჰოლს, მით უფრო მოქმედებს იგი ფსიქიკურ ფუნქციებზე.

მაგარი სასმელების განუწყვეტლივ და დიდი რაოდენობით მიღების, თავშეუკავებელი ლოთობის შედეგად ადამიანს შეიძლება განუვითარდეს სხვადასხვაგვარი ფსიქიკური დაავადება: ალკოჰოლური ჭკუასუსტობა, თეთრი ცხელება, მწვავე და ქრონიკული ალკოჰოლური ჰალუცინოზი, კორსაკოვის ფსიქოზი. ქრონიკულმა ალკოჰოლიზმმა შეიძლება გამოიწვიოს ეპილეპსური გულყრები და სხვ.

ცნობილია, რომ თავის ტვინის ქერქი მონაწილეობას ღებულობს ორგანიზმში მიმდინარე ყველა სასიცოცხლო პროცესებში, მათ რეგულიაციაში. ქერქის და საერთოდ ცენტრალურ ნერვულ სისტემის ალკოჰოლით ხშირი მოწამვლა, ცხადია, უშედეგოდ არ ჩაივლის, იგი უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმის ჯანმრთელობაზე, მის ცხოველმყოფელობაზე. ამასთან ერთად ალკოჰოლი სწამლავს პერიფერიულ ნერვულ სისტემას და იწვევს მის სხვადასხვაგვარ დაზიანებას.

ლოთობას თან სდევს ორგანიზმის ყველა შემადგენელი ნაწილების ორგანოებისა და ქსოვილების ალკოჰოლით მოწამვლა, რაც მათ ფუნქციის მოშლას იწვევს.

ალკოჰოლი ძალიან ტვირთავს გულს. მისი სულ მცირე რაოდენობით მიღებაც კი უკვე აჩქარებს გულისცემას, რის გამოც გული დღე-ღამის განმავლობაში დაახლოებით 30000 ზედმეტ შეკუმშვა-გაშლას აწარმოებს. მოწამლული და გადაქანცული გულის კუნთები სუსტდება, დუნდება და გულის ქსოვილი გადაგვარებას განიცდის, რაც გულის სხვადასხვაგვარ დაავადებაში პოულობს თავის გამოხატულებას და მთელ რიგ შემთხვევებში ადამიანის უეცარი დაღუპვის მიზეზი ხდება. ალკოჰოლის მიღების შედეგად გადაგვარებას განიცდიან აგრეთვე სისხლის ძარღვები. ეგრეთ წოდებული არტერიოსკლეროზის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ალკოჰოლიზმი წარმოადგენს. ლოთობა დამღუპველ გავლენას ახდენს სასუნთქ ორგანოებზე, ხელს უწყობს ფილტვების მთელ რიგ დაავადებების განვითარებას. ზედმეტია ლაპარაკი საჭმლის მონელების სისტემის ორგანოებზე. უმრავლეს შემთხვევაში სისტემატური ლოთობა იწვევს ამ სისტემის მუშაობის დაკნინებას და მოშლას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მთელ რიგ დაავადებებს. ბოგომოლეცს ლოთობა კიბოს ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მიაჩნდა.

ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ალკოჰოლიზმი ღვიძლზე, შარდ-სასქესო სისტემაზე და სხვ.

ლოთობა ადრე იწვევს მოხუცებულობას, შრომის უნარის დაქვეითებას ან დაკარგვას. სხვადასხვა ავადმყოფობის (თავის ტვინში სისხლის ჩაქცევა და სხვ.) შედეგად განვითარებულ ინვალიდობას.

ალკოჰოლით სისტემატური მოწამვლა, არაიშვიათად ხდება სიკვდილის მიზეზი... ასე მაგალითად, ზოგიერთ ავტორის მონაცემით მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ. ოცდაათი წლის მანძილზე დასავლეთ ევროპაში ალკოჰოლიზმმა იმსხვერპლა შვიდნახევარი მილიონი ადამიანი, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობდა ამავე პერიოდში სხვა მიზეზებით დახოცილ ადამიანთა საერთო რიცხვს.

ლოთობა იწვევს ორგანიზმის საერთო დაკნინებას. ალკოჰოლით მოწამლული ორგანიზმი ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს სხვადასხვა ავადმყოფობის გამომწვევ და საერთოდ ყოველგვარ მავნე ფაქტორებს.

სიმთვრალის დროს პერიფერიული სისხლის ძარღვების გაგანიერებას და ამასთან დაკავშირებულ სითბოს დიდი დაკარგვის გამო მთვრალი ადამიანი ძალიან ადვილად ცივდება. ლოთი ძალიან ძნელად იტანს ინფექციურ სნეულებებს. გამოანგარიშებულია, რომ წარსულში, ხოლერის ეპიდემიის დროს, მაგალითად ინგლისში, ხოლერით დაავადების შემთხვევაში ყოველ ას ალკოჰოლიკზე იღუპებოდა 81, ამის გარეშე კი — 19 ავადმყოფი. არც ისე შორეულ წარსულში ფილტვების ანთებით დაავადებულ 20-30 წლის ასაკის ყოველ 100 ალკოჰოლიკიდან 66 იღუპებოდა, დანარჩენ შემთხვევაში კი ფილტვებით ავადმყოფთა იმავე ასაკის ას ადამიანზე სიკვდილიანობა 7%-ს შეადგენდა.

ალკოჰოლიზმი ძველი ყოფის მავნე გადმონაშთია, ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ექსპლოატატორები მას თავის მიზნებისათვის იყენებდნენ და იყენებენ. ისტორიამ და მხატვრულმა ლიტერატურამ შემოგვინახა გულშემზარავი სურათები იმისა, თუ როგორ იყენებდნენ მაგარ სასმელებს კოლონიზატორები ამერიკაში, როდესაც ისინი იქ მობინადრე მკვიდრ მოსახლეობას დასახლებულ ადგილებიდან უწყალოდ ერეკებოდნენ. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ კოლონიზატორების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკურ განადგურებაში დიდი როლი ალკოჰოლმა შეასრულა. სხვადასხვა მძიმე დანიშნულების, ყაჩაღური ოპერაციების დროს კაპიტალიზმმა აღმოცენებისთანავე ალკოჰოლში თავისი ბოროტი ზრახვების განხორციელების ხელშემწყობი იარაღი ნახა. კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მშრომელი მოსახლეობის მოტყუება, ძარცვა-გლეჯასა და გაყვლეფაში, როგორც წარსულში, ისე ჩვენს დროში კაპიტალიზმი ფართოდ იყენებს ალკოჰოლს.

ამიტომ არის, რომ მეცნიერულმა სოციალიზმმა თავის აღმოცენების პირველ დღიდანვე ალკოჰოლიზმს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა.

ლოთობა უცხოა მშრომელ მასების ბუნებისათვის.

* * *

მაგარი სასმელების უზომოდ სმა არაიშვიათად თან სდევს სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებს. წარსულის ეს უარყოფითი გადმონაშთი ისე არ დამთავრდება, რომ მისი მონაწილეთა ერთი ნაწილი არ დათვრეს და მას არ მოჰყვეს ჩხუბი და აურზაური. ამ სტრიქონების ავტორი თიანეთის რაიონის, სოფელ არტანში ექიმად მუშაობის დროს მოწმე იყო ასეთი შემთხვევისა: რელიგიურ დღესასწაულის მონაწილეთა ერთი ნაწილი ძალიან დამთვრალიყო და ჩხუბი აეტეხათ; ერთმანეთი დაეშავებინათ. მათ შორის რამდენიმე კაცს მძიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. შეხვევის შემდეგ დაშავებულთა ერთი ნაწილი სამკურნალოდ არტანს ჩამოვიყვანეთ. მეორე დღეს, გამოფხიზლებულებს აღარ ახსოვდათ თუ ვინ ვის მიაყენა ჭრილობა ან რა იყო ჩხუბისა და უსიამოვნების მიზეზი. სინანულს და სიმთვრალის წყევლას ბოლო არ ქონდა, მაგრამ გვიან იყო და მდგომარეობას არ შველოდა.

ალკოჰოლით მოწამვლა მავნეა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მაგრამ განსაკუთრებით დიდი ზიანის მომტანია იგი მოზარდ თაობისათვის. საერთოდ, ყოველად შეუწყნარებელია სიმთვრალე, მაგრამ კიდევ უფრო შეუწყნარებელია ის ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის.

საბჭოთა კავშირში უდიდესი ყურადღება ექცევა ახალი თაობის აღზრდას, მათ ნორმალურ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, კულტურულ ზრდას. მთელი ქვეყანა, როგორც კარგი მებაღე ფაქიზად უვლის მათ. ეს კი თვითეულ მშობელს, თვითეულ მოქალაქეს, ოჯახსა და სკოლას, ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ავალებს, რომ სიმთვრალის, მოზარდის მიერ სასმელისადმი ლტოლვის არც ერთი შემთხვევა არ დატოვონ უყურადღებოდ და მათ ხელთ არსებულ ყველა აღმზრდელობით საშუალებას მიმართონ, რომ ახალგაზრდა არ შეეჩვიოს მაგარ სასმელებს, რაც მოზარდ ორგანიზმს დიდად დააზიანებს და ამასთან ერთად შეიძლება ახალგაზრდის ცხოვრების სწორ გზიდან აცდენის მიზეზადაც იქცეს.

* * *

ჩვენში ფართო მუშაობა წარმოებს წარსულის უხამსი გადმონაშთის — ლოთობის, ალკოჰოლიზმის აღმოსაფხვრელად. ეს არის დიდი, მეტად ჰუმანური და კეთილშობილი საქმე. მისი წარმატებისათვის ხელის შეწყობა თვითეული მოქალაქის საპატიო მოვალეობას შეადგენს.

მ. ლერმონტოვი (ავტოპორტრეტი)

მ. ლერმონტოვის ნივთები საქართველოდან

გარდა შემოქმედებითი შთაგონებისა, ლერმონტოვმა საქართველოში ჰპოვა საუკეთესო მეგობრები და მისი ნიჭის პატივისმცემლები. მაშინ (1837-38 წ.წ.) კახეთში დაბანაკებული ნიუგოროდის პოლკის ქართველი ოფიცრები: პოდპ. ბარათაშვილი, შტაბს-კაპ. ფავლენიშვილი და შალიკაშვილი, პრ. ანდრონიკაშვილი, იოსელიანი, ერისთავი, მაჩაბელი, იასონ და სპირიდონ გულბაათის ძე ჭავჭავაძეები, კ. მამაცაშვილი და სხვ. ისეთ შესანიშნავ წრეს წარმოადგენდა, სადაც პოეტს შეეძლო სულიერი კმაყოფილება ეგრძნო. ამ წრის მეშვეობით წინანდალსა და თბილისში პოეტი უახლოვდება თავისი შორეული ნათესავის ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს, აქვე ხვდებოდა „წინანდლის ვარდებსა“ და მათს მეგობრებს, ულამაზეს ქართველ ქალებს: მარიამ (მაია), სოფიო, მაიკო, მანანა და ელენე ორბელიანებს, მელანია და დარია ერისთავებს და სხვ.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული ლიტერატურისა და, განსაკუთრებით, ირაკლი ანდრონიკაშვილის ვრცელი ნაშრომის გამოცემის შემდეგ ყველასათვის უდავო და ნათელია, თუ როგორ მიიღო უნიჭიერესი რუსი მწერალი საქართველოს მაღალმა წრეებმა თბილისსა და წინანდალში. ამ გულითად მიღებასა და გართობას, ზეიმებსა და ბანკეტებს მაშინდელი ჩვეულე ის მიხედვით თან სდევდა მეგობრული სახსოვრები, ძვირფასი საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა.

პოეტის იმ მრავალ მემორიალურ ნივთებიდან, რომლებიც დაწვრილებით აღწერილია და დაცული ლერმონტოვის მუზეუმში, იხსენიება რამდენიმე კავკასიური ან ქართული სახსოვარი. ესენია: პოეტის საფულე („ბუმაჟნიკ“), რომლის შესახებ „ისტორიჩესკი ვესტნიკის“ მეორე წიგნში (1892) მოთხრობილია: ერთ საღამოს, ბანქოს თამაშის დროს, პოეტმა საფულე გახსნა და ვერცხლის ათშაურიანები დაყარა მაგიდაზე; საფულე კი ლოგინისაკენ გაისროლა. ოთახის დალაგების დროს პოეტის კამერდინერ ანდრია სოკოლოვს უნახავს საფულე და პოეტისთვის მიუწოდებია. „რა ეშმაკად მინდა უფულოდ, თუ მოგწონს, შენ გქონდესო“, — უთქვამს ლერმონტოვს და კამერდინერისათვის უჩუქებია. პოეტის მკვლელობის შემდეგ, სოკოლოვისაგან საფულე შეუსყიდია პოეტის ქართველ მეგობარს ვასილ ივანეს ძე ჭილაშვილს, რომელსაც 30 წელი უტარებია მეგობარ პოეტის სახსოვარი, შემდეგ კი ლერმონტოვის მუზეუმისათვის გადაუციათ.

ასევე მოქცეულან პოეტის სხვა მეგობრებიც. სიკვდილის შემდეგ მისი ნივთები გაუნაწილებიათ და პოეტის სახსოვრად უტარებიათ, ვით რელიქვია. საბოლოოდ კი ყველა ამ ნივთს ლერმონტოვის მუზეუმში მოუყრია თავი.

აქვე მოსახსენებელია ლერმონტოვის ხმალი, რომელსაც გარდა იმისა, რომ პოეტის სახელი და გვარი აწერია, ერთ მხარეზე ჰქონია ორსტრიქონიანი ქართული წარწერაც, რომელიც დაზიანების გამო დღემდე ვერ გაუშიფრავთ; ოქრო-ვერცხლით მოოქროვილ ქარქაშიანი და სპილოს ძვლისვადიანი სატევარი (ყამა), რომელიც პოეტისათვის ა. ვრაევსკის უსახსოვრებია კავკასიის მთების მოსაგონებლად; ლერმონტოვის კავკასიური ქამარი ბალთითა და დარახტულობით, რომელსაც პოეტი ჩოხაზე ირტყამდა. აქვეა ვერცხლით მოსევადებული და მონოგრამით — „ას“ მოოქროვილი რქის საპირისწამლე.

როგორც ლერმონტოვის ცხოვრების ამწერნი გადმოგვცემენ, ამ ნივთებს პოეტი ატარებდა მაშინ, როცა ჩოხით მოირთვებოდა. მართლაც, დღემდე დაცულია ავტოპორტრეტი, რომელშიც ჩოხიან ლერმონტოვს ეს ქართული ქამარ-ხანჯალი და ხმალი ზედ არტყია; ზურგზე კავკასიური ნაბადი აქვს მოგდებული. საგულისხმოა ისიც, რომ ეს სურათი შექმნილია 1837-38 წლებში, როცა პოეტი საქართველოში ცხოვრობდა.

ლერმონტოვის აქ ჩამოთვლილ „კავკასიურ ნივთებს“ შორის არის კიდევ ერთი საყურადღებო რელიქვია, რომელიც ჩვენამდე მოღწეულა, მაგრამ უცნობია და პოეტის მუზეუმის არც ერთ კატალოგში არ იხსენიება. ეს არის პოეტის ცხვირსახოცი, ამჟამად საქართველოს სახ. ლიტერატურულ მუზეუმში დაცული (№ 270).

მ. ლერმონტოვი

მადლობა

მე ყველაფრისთვის, ყველაფრისთვის ვარ მადლობელი,
გმადლობ, რომ ვნება გადამექცა ტანჯვა-წამებად,
რომ შენი ბაგით შხამი შევსვი დამათრობელი,
რომ მოვიხვეჭე მეგობართა ცილისწამება,
ცრემლი რომ ვღვარე, რომ ჩამიქრა სული მზიანი,
რომ ასე უღვთოდ გამიცუდდა წუთისოფელი —
აწ ამასა გთხოვ, ნუ იქნები მიზეზიანი
მოაწყე ისე — აღარ ვიყო კვლავ მადლობელი.

რისთვის

მისთვის ვღონდები, უსაზღვროდ რომ მიყვარხარ შენა
და ვუწყი: შენი ყვავილობის უებრო ლხენას
შურით მდევარი და მუხთალი დრო არ დაინდობს.
განა იქნება, შვების ჟამი — არ გადაბინდოს
და ცრემლებით არ მიითვალოს ცბიერმა ბედმა?!
ვღონდები, რადგან მხიარულს და უზრუნველს გხედავ.

თარგმნა
თ. ჩხენკელმა

ძვირფასი ნაქსოვი, გარშემო ლამაზად შემოკერილი, ყვავილებით შემკული, რომლის ერთ კუთხეზე ოქრომკედით ამოქარგულია პოეტის სახელი „Michel“.

იმდროინდელ არისტოკრატიულ წრეებში ფეხმოკიდებული ჩვეულების მიხედვით, რუსული „მიშას“ ნაცვლად პოეტს ფრანგულ „მიშელს“ რომ ეძახდნენ, ეს მრავალი დოკუმენტებით დასტურდება: ლერმონტოვის მუზეუმში დაცულ პოეტის კუთვნილ წიგნს — Ручная математическая энциклопедия-ს I ნაწ. შმუცტტულზე აწერია: Michel Lermontoff; ასევე ფრანგულად აწერია პოეტის სახელი და გვარი ვ. ჰიუგოს ლექსების კრებულს, ფსალმუნთა კრებულს და სხვებს. ასევე ეძახდნენ პოეტს საქართველოს არისტოკრატიულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ქალები, რომლებიც გატაცებული იყვნენ ფრანგული ენით. და რა თქმა უნდა, თუ რომელიმე მათგანმა პოეტის არმაღანად ეს ცხვირსახოცი მოქარგა, პოეტის სახელსაც ფრანგულად ამოიყვანდა. ამგვარი არმაღანების მირთმევა მაშინ მოდაში იყო.

ერთ-ერთ ასეთ სახსოვარს უნდა წარმოადგენდეს საქართველოს სახ. ლიტერატურულ მუზეუმში შენახული ცხვირსახოციც. იგი მუზეუმს ჩაბარა ივ. დიმ. რატიშვილმა, რომლის გადმოცემით ცხვირსახოცი დიდი ხნიდან იყო დაცული მის ოჯახში. ამასთანავე მან მუზეუმს გადასცა: პალისანდრის ხისაგან ძვირფასად ნაკეთები და შემკული, მგზავრობის დროს სატარებელი სამგანყოფილებიანი ყუთი (№ 269). ეს ყუთი მ. ლერმონტოვის მეგობრის ვ. ტელეპნევ-ობოლენსკის კუთვნილება ყოფილა. სწორედ იმავე ვ. ობოლენსკის შერჩენია სახსოვრად პოეტის ეს ცხვირსახოცი, რომელიც, დასახელებულ ყუთში ჩადებული, გადაუციათ პეტერბურგში მცხოვრებ ივ. რატიშვილის ოჯახისათვის. ამავე ოჯახში ყოფილა აგრეთვე დაცული იოანე ბაგრატიონის („კალმასობის“ ავტორის) ცხვირსახოცი, რომელზედაც ამოქარგულია ბაგრატიონთა გერბი.

საიდან უნდა მისულიყო ვ. ობოლენსკისთან შენახული მ. ლერმონტოვის ნივთები პეტერბურგში მცხოვრებ რატიშვილების ოჯახში? თვით რატიშვილის მეუღლის ეკატერინეს საშუალებით, რომელიც ერეკლე მეფის შვილიშვილის შვილი იყო. იგი იყო მკვიდრი ბიძაშვილი ილია ბატონიშვილისა (გიორგი XII-ის ძე), რომელსაც ცოლად ჰყავდა ობოლენსკის ქალი ანასტასია გრიგოლის ასული. ილია ბაგრატიონს ამ ობოლენსკის ქალისაგან ჰყავდა რვა ქალი და ოთხი ვაჟი. ქალებიდან ერთი, ანა, დავით ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძის მეუღლე იყო, მეორე, ბარბარე — ილია ორბელიანისა. ვაჟები — პეტრე და დიმიტრიც ერთხანს თბილისში ცხოვრობდნენ და 1855 წ. გმირულად დაიღუპნენ ბაშკადიკლარის ფრონტზე, თურქებთან ბრძოლაში, სადაც მათი სიძე ილია ორბელიანიც დაიღუპა. ამგვარად, ცხადი ხდება ბაგრატიონ-ორბელიან-ჭავჭავაძეთა მჭიდრო ურთიერთობა ობოლენსკეების სახლთან. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ თვით დედა რატიშვილისა ობოლენსკის ქალი იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კავშირი და ურთიერთობა ობოლენსკებთან, გასული საუკუნის 80-იან წლებში კვლავ განახლდა მით, რომ ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანის ქალი მაია მისთხოვდა ობოლენსკის, რომელიც ილია ბატონიშვილის მეუღლის ნათესავი იყო.

ცხადია, ობოლენსკებთან ამგვარი ურთიერთობისა და მეგობრობის მონაწილე იყო სხვადასხვა დროს მოსკოვსა და პეტერბურგში მცხოვრები ირაკლი ბატონიშვილის ქალიც (რატიშვილისა), რომლის ხელშიც გადასულა ვ. ობოლენსკის ნაქონი ნივთები და მათ შორის დიდი პოეტის მიხეილ ლერმონტოვის ძვირფასი რელიქვია, მისი ნაქონი ცხვირსახოცი ზედწარწერით „Michel“.

სოლომონ ცაიშვილი

მოქსოვილია საქართველოში

ეს იყო 1950 წლის ივნისში. ამ დღეს სტახანოველმა მუშამ ტატიანა აბრამიშვილმა უკანასკნელად იმუშავა ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში. მეორე დღეს გამოეთხოვა თანშეზრდილ ამხანაგებს, თავის დაზგას და კომკავშირელი გოგონა ნადია ვეფხვაძესა და ოსტატ ილია ახვლედიანთან ერთად ქალაქ ცხაკაიაში გაემგზავრა, ახალმოწყობილ ხალიჩების ფაბრიკაში სამუშაოდ.

მშობლიური გულთბილობით მიიღეს ტატიანა და მისი ამხანაგები ახალ სამუშაოზე. ტატიანამ აქ ბევრი ამხანაგი შეიძინა. მაგრამ ყველაზე მახლობლად თვლიდა ვერა შარიკოვასა და ვერა დრუჟინინას, რომლებმაც ხალიჩების ქსოვა შეასწავლეს, მეგობრობა და მზრუნველობა გაუწიეს. ისინი მაშინ მოსკოვის ოლქის ქალაქ ლუბერცის ხალიჩების ფაბრიკიდან მოვიდნენ, რათა ქართველ მშრომელებს დახმარებოდნენ ხალიჩების ქსოვის რთული პროცესის ათვისებაში. ტატიანას მცირე გამოცდილება ჰქონდა მიღებული ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში, მაგრამ მეგობრებთან ერთად, მასწავლებლების—ვერა შარიკოვასა და ვერა დრუჟინინას დახმარებით, უფრო სრულყოფილად ეუფლებოდა.

პირველი ტატიანა აბრამიშვილი გადავიდა ფიანდაზების ქსოვიდან კედლის ხალიჩების დამზადებაზე. მაშინ ცხაკაიას ფაბრიკაში სამანქანო წესით დამზადებული პირველი ქართული ხალიჩა გამოუშვეს. ეს საწარმოო გამარჯვება ზეიმით აღნიშნეს ახალგაზრდა ფაბრიკის ახალგაზრდა მშრომელებმა. ამ ზეიმში მონაწილეობდნენ უფროსი ამხანაგები ვ. შარიკოვა და ვ. დრუჟინინა, რომლებმაც პატარა როლი როდი ითამაშეს ამ გამარჯვებაში. გამგზავრებისას ვერა შარიკოვამ ასეთი სიტყვებით მიმართა თავის მასპინძლებსა და მეგობრებს:

— გწამდეთ ჩვენი გულწრფელი მეგობრობა! უსათუოდ გვეწვიეთ, გვნახეთ, ნახეთ ჩვენი მასპინძლობაც!

მართლაც ამ ერთი წლის წინათ ტატიანა აბრამიშვილი, ლუბა თურქია, სვეტლანა სკრინიკოვა, ნიკოლოზ სახურია და ნიკოლოზ ზესაშვილი კედლის ხალიჩების ქსოვის ტექნიკის ათვისებისა და ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოსკოვს გაემგზავრნენ. ქართველი მეხალიჩეები სამ თვეზე მეტ ხანს დარჩნენ მოსკოვის ოლქის ლუბერცის ხალიჩების ფაბრიკაში. აქ მათ ძველი მეგობრები — ვერა შარიკოვა და ვერა დრუჟინინა დახვდათ. ისინი ახალ მეგობრებთან ერთად ყოველდღიურად ეხმარებოდნენ საქართველოდან ჩასულებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ახლა, ცხაკაიას ხალიჩების ფაბრიკაში 250-ზე მეტი რუსი, ქართველი, უკრაინელი და ჩვენი დიდი ქვეყნის სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი შრომობს ქართული მაღალხარისხოვანი ხალიჩების მოსაქსოვად.

მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტალინის, თბილისისა და სხვა ქალაქების მაღაზიების მომხმარებლებისაგან ხშირად გაიგონებთ:

— თუ შეიძლება, აი ის ლამაზი ხალიჩა გადმოიღეთ!

— საქართველოში მოქსოვილი ხალიჩაა, — უპასუხებს ხოლმე გამყიდველი.

ახლა ცხაკაიაში დამზადებული ფერად-ფერადი ხალიჩები და ფიანდაზები ამშვენებს რუსისა თუ ქართველის, უკრაინელისა თუ აზერბაიჯანელის, დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა ოჯახებს. ამ ოჯახებშიც ხშირად გაიგონებთ:

— ეს საქართველოში მოქსოვილი ხალიჩაა!

შ. ჯიქია, დ. გეგენავა

ცხაკაიას ხალიჩების ფაბრიკა ამზადებს აგრეთვე იატაკზე საფენ ვიწრო ხალიჩებს.
ფოტოზე; სტახანოველი კომკავშირელი მ. ქავთარაძე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა

↑ ალპინისტების ჯგუფი, რომელიც ავიდა ფ. ენგელსის სახელობის მწვერვალზე (მარცხნ. მარჯვნივ) ა. ნემსიწვერიძე, კ. კუზმინი, მ. გვარლიანი, გ. გულბანი.



ქართველი ალპინისტები პამირზე

ჩვენმა ალპინისტებმა კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს საბჭოთა სპორტის ისტორიაში. გასულ თვეში მათ დაიპყრეს რამდენიმე უსახელო მწვერვალი პამირზე. ისინი პირველნი ავიდნენ ტექნიკურად მეტად რთულსა და მაღალ მწვერვალზე — ენგელსის პიკზე.

ფოტო ბ. კრეპსისა
და ო.თ. დეკანოზიძის

ყინულოვანი კედელი. →
ენგელსის მწვერვალი. ↓



ა. ბერიძე (1858 — 1917)

მოხუცის პორტრეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. მრევლიშვილი (1866 — 1933)
სოფლის კანცელარიის წინ.



XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში პორტრეტული ჟანრი საკმაო განვითარებას აღწევს.

მაშინდელი პორტრეტისტებიდან ცნობილია, მაგალითად, ერეკლე მეორის კარის მხატვრის იონათამ ნაკაშის შვილი ნიკიტა იონათამიშვილი, რომელიც იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშიც" არის მოხსენებული, როგორც პორტრეტების საუკეთესო ოსტატი. მისი შვილებიც — იაკობი და ალაფონ იონათამიშვილები ეგრეთვე გამოჩენილი პორტრეტისტები ყოფილან. როგორც გაზეთი „კავკაზი" იუწყება, იაკობი არამცთუ ნატურიდან, არამედ ზეპირადაც კი ასრულებდა პორტრეტებს, რომლებიც გასაოცარი მსგავსებით გამოირჩეოდნენ. მისი უმცროსი ძმა ალაფონი 1836 წ. მთავრობის ხარჯით პეტერბურგის სამხატვრო სკოლაში გაუგზავნიათ, სადაც კ. ბრიულოვის სახელოსნოში სწავლობდა. ერთი წლის შემდეგ ამავე სახელოსნოში ერთად ოსტატდებოდნენ დიდი უკრაინელი მწერალი და მხატვარი ტარას შევჩენკო და ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ განთავისუფლებული ყმა გრიგოლ მაისურაძე.

გრ. მაისურაძემ თავისი შემოქმედებით ხელი შეუწყო ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის აღორძინებისათვის ნიადაგის მომზადებას. იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი დემოკრატი მხატვრების წინამორბედად ჯვევლინება.

ახალი ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებას საკმაოდ შეუწყო ხელი რუსი მხატვრების საქართველოში მოღვაწეობამ, რომლებიც აქტიურად ებმებოდნენ ქართულ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ცნობილია, რომ ქართული თეატრის პირველი დადგმის დეკორატორი რუსეთიდან ჩამოსული მხატვარი გაგარინი იყო.

შემდეგ ხანებში ქართულ თეატრში მოღვაწეობდა იტალიიდან ახლად დაბრუნებული მხატვარი ალექსანდრე ბერიძე.

დ. გურამიშვილი (1857 — 1926) ავტოპორტრეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ. გველესიანი (1859 — 1884)
მხატვარ გიგო გაბაშვილის პორტრეტი (1883 წ.)

ალ. ბერიძე თავისი ფუნჯით თითქმის ყველა საზოგადოებრივსა და საერთო საქმეს ეხმაურებოდა.

ალ. ბერიძის ნაწარმოებებიდან გამოირჩევა დიდი ფერწერული ოსტატობითა და შინაგანი არტისტიზმით დაწერილი პორტრეტები — „მოხუცი", „მოხუცის თავი", „მამაკაცის თავი", რომლებშიაც მხატვარი განწყობილების გადმოცემითა და ფსიქოლოგიური მომენტის გახსნით გვიჩვენებს თავისი მხატვრული პრინციპების მაღალ იდეურობას.

ალ. ბერიძეს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონია იმ დროის ცნობილ ქართველ მხატვარ რომანოზ გველესიანთან. საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია რომანოზ გველესიანის მიერ ერთ სეანსში დახატული ალ. ბერიძის პორტრეტი. პორტრეტი ერთგვარად ეტიუდურ ხასიათს ატარებს, მაგრამ მასში გარკვეულად ჩანს მხატვრის ოსტატობა და წერის ტექნიკის კარგი ცოდნა. მიუხედავად ხანმოკლე მოღვაწეობისა, ახალგაზრდა ნიჭიერმა მხატვარმა საინტერესო მხატვრული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. რ. გველესიანი თავისი პორტრეტებით და გრაფიკული ნამუშევრებით ჩამოყალიბებული ინდივიდუალური მანერისა და კოლორიტის მხატვარია.

წერის ფართო, თავისუფალი მანერა, ტონებისა და ნახევარტონების ოსტატური გრადაცია, ფერების თავშეკავებული შერჩევა ახასიათებს მხატვრის ფერწერას. მისი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: „კახელი დოქით", უცნობის პორტრეტი, კ. მაღალაშვილის პორტრეტი, „ქართველი მანდილოსანი" და სხვ. თავის შემოქმედების ხანმოკლე მანძილზე მხატვარმა ვერ მოასწრო დიდი ტილოების შექმნა, მაგრამ შემოქმედების მისმა რეალისტურმა პრინციპებმა გარკვეული როლი ითამაშეს ახალი ქართული ხელოვნების განვითარების საქმეში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მოუხდა შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლა მხატვარ ალექსანდრე მრევლიშვილს. მან დაწყებითი სწავლა თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. აღნიშნული სასწავლებლის პედაგოგებს — ცნობილ საზოგადო მოღვაწე მ. ჯანაშვილს და მწერალ ვ. ბარნოვს შეუმჩნევიათ ბავშვის ნიჭი და წაუხალისებიათ იგი.

ალ. მრევლიშვილი 1884 წელს მოსკოვის ფერწერისა, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში შედის სასწავლებლად, ხოლო 1889 წელს პარიზში ჟიულენის აკადემიაში პროფ. ბუგერის და პანპოლ-ლორანსის ატელიეში იღებს პროფესიონალურ განათლებას. ამ წლებში დაწერა მან თავისი ცნობილი ხურათი „სოფლის კანცელარიის წინ" (1899 წ.) და „დაბალი ღობე" (ესკიზი).

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ალ. მრევლიშვილი აქტიურ შემოქმედებითს და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.



საყურადღებოა მრევლიშვილის შეხედულებანი მხატვრობაზე და ხელოვნებაზე: „თუ აზრი სწორად არის გამოსახული სურათში, მაშინ ძირითადი უკვე გვაქვს, დეტალები არსებითად არაფერს მატებენ". ამბობდა მხატვარი და მართლაც მისი სურათების კომპოზიციური გადაწყვეტა ამ პრინციპზეა აგებული, სადაც აქსესუარი მხოლოდ სურათის ტონის მიმცემია და სხვა არაფერი.

ალ. მრევლიშვილის შემოქმედებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა როგორც „პერედვიჟნიკების" მიმდინარეობამ, ისე დიდმა რუსმა მხატვარმა ი. რეპინმა, რომელსაც მხატვარი პირადად იცნობდა.

რეპინთან ახლო ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა დიდ ქართველ მხატვარ გ. გაბაშვილს, რომელიც თავისი შემოქმედებით რეალისტური მხატვრობის ბრწყინვალე წარმომადგენლად და მის ფუძემდებლად გვევლინება ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში.

მიუნხენის გამოფენაზე ი. რეპინის გამარჯვებით აღტაცებული მხატვარი თავის მეგობარს მხატვარ დავით გურამიშვილს სწერდა: „გამოფენაზე სრული გამარჯვება მოიპოვა, როგორც ამის შესახებ ადრევე, ჯერ კიდევ გამოფენამდე ვამბობდი, რუსმა მხატვარმა რეპინმა, რომელსაც ოქროს დიდი მედალი მიანიჭეს. თითქმის ყველა ერთხმად ცნობს რეპინის სურათს, როგორც ძლიერსა და საუცხოოს". ი. რეპინი ორჯერ ყოფილა საქართველოში. 1881 წელს პატარა ზომის სურათიც დაუხატავს—„ქუჩა თბილისში". მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში სამხატვრო სასწავლებლის დაარსება.

საყურადღებოა გ. გაბაშკილის, დ. გურამიშვილისა და უნგრელი მხატვრის ზიჩის მეგობრული ურთიერთობა. არსებობს გადმოცემა, რომ გ. გაბაშვილი, ზიჩი და დ. გურამიშვილი ერთად დადიოდნენ პეტერბურგის მანეჟში, სადაც გ. გაბაშვილი ცხენების ეტიუდებს ხატავდა, ხოლო ზიჩი ცხენზე ამხედრებულ დ. გურამიშვილის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციების პირველ ესკიზებს ქმნიდაო. დ. გურამიშვილს პირველად ზიჩმა მიაქცია ყურადღება, მისივე რჩევით იგი შევიდა მიუნხენის აკადემიაში 1886 წელს. გურამიშვილმა რამდენჯერმე კიდეც მიიღო მონაწილეობა მიუნხენის გამოფენაში. მხატვარი ხელმოკლეობის გამო იძულებული ხდება 2 წლის შემდეგ ისევ საქართველოში დაბრუნდეს. მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია „ავტოპორტრეტი", „მხატვრის ქალიშვილი" და სხვა, რომლებიც ძირითადად რეალიზმის პრინციპებს ემყარებიან.

აღნიშნული მხატვრების შემოქმედება ერთ მთლიან მხატვრულ სკოლასა ქმნის, რომლის ძირითადი პრინციპები წარმოადგენდა მხატვრული შემოქმედების სინამდვილესთან დაკავშირებას მისი შესწავლისა და ათვისების გზით.

გ. აბრამიშვილი

გ. ზაზიაშვილი (1868 — 1952)
ზაქარია ჭიკინაძის პორტრეტი (1922 წ.)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ. გველესიანი (1859 — 1884)

ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი (1882 წ. დეკემბერი).

დიდი ქვეყანა

რევაზ ჯაფარიძე

მხატვარი ზ. ლეჟავა

მზე ამოსვლას ეპირებოდა; ლევანს რომ გამოელვიძა. თავი წამოსწია და მიიხედ-მოიხედა. ოთახი დაელაგებინათ. აღარც დედა ჩანდა, აღარც შუათანა და, სულიკო, და არც ფოთიდან ჩამოსული სტუმრები. მაგიდაზე ნახევარ ხაჭაპურს, სალათას და ჩაის ჭურჭელს მოჰკრა თვალი. ეს, ალბათ, ლევანს დაუტოვეს; ცხელი წყალი კიდევ სამზარეულოში იქნება.

ახლაღა გაახსენდა, რომ ცოტა ხნის წინათ ვიღაც აღვიძებდა, მაგრამ მან თავი ვერ გაართვა ძილს, მეორე გვერდზე გადაბრუნდა. დედა იქნებოდა, ან სულიკო. ვახშმობისას შეიპირა ორივე, დილით მეც გამაღვიძეთო.

მამალაძისეული სულ ახლოსაა. ლიდა ბებიას ოწინარიან ჭას გაუყლი, მერე შარშანდელი დახნული საპლანტაციე მიწაა, მერე კიდევ ჭა, ბუჩქნარი, ჩქრიალა ღელე და ნორჩი ტუნგოს დიდი ტყე. მამალაძისეული სწორედ ამ ტყეს აკრავს. ირგვლივ თხილის დიდრონი ბუჩქები არტყია. თხილი უკვე დაბროწდა. დაკრიფე, თუ მოგესურვება, აივსე ჯიბეები და აკნაწუნე დილიდან სალამამდე.

მაგრამ მაინც არ წაიყვანეს. ალბათ, აღვიძეს, აღვიძეს და რაკი არ გაეღვიძა, აიღეს და დედაბუდიანად გაიკრიფნენ პლანტაციაში. მერე რამოდენა პლანტაციაა მამალაძისეული! შუაში მწვანე მინდორი ჩაუდის, ასე, ხუთი ნაბიჯის სიგანისა. ეს მინდორი ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს პლანტაციას. მარჯვნივ და მარცხნივ უთვალავ რიგებად ჩამწკრივებულან ჩაის მწვანე ბუჩქები. თვითეული რიგი გეგონება ერთი გრძელი ბუჩქი, რომელიც აგერ შენს ცხვრწინ იწყება და სადღაც თხილნარის პირას ბოლოვდება.

რა არის ჩაის კრეფა! სულ არაა ძნელი საქმე. ჩაის მწვანე ყლორტს ერთი პაწია ფოთოლი აქვს, ნეკის ფრჩხილზე კიდევ უფრო პატარა. ამას თევზაფოთოლს ეძახიან. ამ თევზაფოთლის ზემოთ უნდა **მოწყვიტო ახალი** დუყი და იმისაგან ისეთი თაიგული ჩაი გამოვა, რომ მთელ სახლს აავსებს სურნელებით. ოღონდ ეგ არის, ბევრი უნდა მოკრიფო. ისე დაგიბუღუღება თითები რომ...

ძროხა ვენახის თავში იქნება დაბმული. წასვლის წინ დედა ჩაიყვანდა. ხელისგულივით მოატიტვლა ალბათ საძოვარი. ახლა ძროხას გადაბამს და მოუსვამს პლანტაციისაკენ. ანიკო და ლამარაც იქ იქნებიან. ანიკო მეორე კლასშია, ლამარა — მეოთხეში. ისინი ადრე გამოდიან სამუშაოდ, ამიტომ ბევრსაც კრეფენ. ლევანიც არ დაუგდებდა ტოლს, მაგრამ დილით შინაური საქმე აქვს. სანამ ამას არ მორჩება, ფეხს ვერ გაადგამს ეზოდან. ჯერ არის და თავისი საბრალო ტუსაღი — პაწია ჩიტი უნდა დააპუროს. ეს ჩიტი შუა ბოძზე მიმაგრებულ ჯოხზე ზის. რამდენიც არ უნდა იფრთხიალოს, აქედან ვერსად გაფრინდება, რადგან წვრილი ძაფით ჯოხზეა გამობმული. ჩიტს საგანგებოდ ინახავს. მალე მიმინოებზე ნადირობის დროც დადგება. ბადე მზად არის. ამასობაში უფროსი ძმა გივი ჩამოვა რუსეთიდან. იქ თავის დასამზადებლად არის წასული. წაიყვანენ ჩიტს ახალშენის გორაზე, ბადესაც თან წაიღებენ, მერე ჩასვამენ შიგ ჩიტუნიას, მიმინოს მოსატყუებლად...

— ეი, ვინ ხარ? სულიკო! — დაიყვირა მან და კარისკენ გაიქცა.

კარს ციყვისკუდიანი წითელი მეძებარი მოდგომოდა.

— ოჰ, ავარა ხარ? მე კი სულიკო მეგონე. შემოდი. გშია? არ გაჭამეს?

ძაღლს წითელი ენა გადმოეგდო. მხოლოდ კუდს აქიცინებდა პასუხად.

ბიჭმა პატიოსნად გაუყო მას თავისი ულუფა და გარეთ გამოვარდა.

ბახმაროს ლურჯად მოკამკამე მთებს თითქოს ცეცხლი წაკიდებოდა. ეზოში გრძლად გაწოლილიყო დახუნძლული მსხლისა და ვაშლის ჩრდილები. ვაზის ტალავერში ცვარი ციმციმებდა. ეზოში დინჯად დაბიჯებდა მოზვრისოდენა ღორი, რომელსაც მტრულად ზვერავდა კიბეზე გადმომდგარი ავარა. ვარდის ბუჩქთან ინდაურებს მოეყარათ თავი. ხმამაღლა მსჯელობდნენ. ალბათ, ვენახში აპირებდნენ გადაბრძანებას. ლევანი მიუხვდა. წკეპლით დაერია. ავარამაც მხარი მისცა. ყეფით გაექანა უწყინარ ღრუტუნასაკენ. ერთი წუთიც, და ეზო საშინელმა აურზაურმა მოიცვა. ქათმები აკრიახდნენ, თავზარდაცემული მიაწყდნენ ღობე-ყორეს, თუმცა ამათ არავინ მისდევდა.

ლევანმა ეზო მოიარა. ვენახშიაც გადაიხედა, ბაღჩაშიც. რას იზამ, სანამ ძმა არ ჩამოსულა თივის დამზადებიდან, ის არის ოჯახის ერთადერთი მამაკაცი. ოჯახს კი მამაკაცის თვალი სჭირია.

მერე ისევ ოდაში დაბრუნდა, რათა აბრეშუმის ჭიისთვის დაეხედა. თუმცა ახლა არაფერში ეჭირვებოდა, მაგრამ მაინც ქამარში გაირჭო წალდი. ტარს კიბის საფეხურებზე მიახრიგინებდა, რადგან სათავე განიერი ჰქონდა და შარვალი სძვრებოდა. ციყვისკუდიანი ავარა ყველგან თან ახლდა. შემპარავად დასდევდა უკან და ცბიერ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

მეორე სართულის ნაპირა ოთახებში ცხემლის ხმელი ფოთლისა და გვიმრის სუნი იდგა. ლერწმის ლასტებზე აქა-იქ თუთის მწვანე ფოთოლი ეყარა. უმეტეს ალაგას ჭია ცახებზე აღოღებულიყო. ზარმაცად ხრავდა ფოთოლს.

— ავარა, ხედავ? — თქვა ლევანმა, — პარკს იკეთებენ.

რასაკვირველია, ავარაც ხედავდა.

— შენ აქ დარჩები, თუ წამოხვალ? სახლს უპატრონოდ ვერ დავაგდებთ.

ავარამ პირი გააწკლაპუნა. მწერი აწუხებდა, მაგრამ ვერ დაიჭირა.

— შენს სინდისზე იყოს, მე კი წავედი. გესმის? ღორს აღარ უკბინო, თორემ ჭიშკარს გაამტვრევს და სიმინდში გავარდება. შენ არ იცი მისი უწმინდური თავის ამბავი. გესმის? გადი გარეთ! რა გესაქმება, ახლა, აქ რომ შემოხვედი? მე რას მიყურებ! მე და შენ ერთი ვართ? გადი!

ჭიშკარსა და ოდას შუა ერთი მაღალი ცაცხვია. ოდის სიმსხო ძირი აქვს. თავიც ასე მსხვილი ჰქონია, მაგრამ შუაზე გადაუჭრიათ. გადაჭრილზე ოთხი სწორი ტოტი ამოსულა და მაღალ ოდას ასცილებია. ლევანმა წალდი ძირს დასტოვა. გაჭირვებით აბობღდა ერთ-ერთ მათგანზე. ოდა ისედაც მაღლობზე იდგა. აივნიდან ადამიანის თვალს ეშლებოდა ჩოხატურის მთელი შემოგარენი. ცაცხვის კენწეროდან კი ზღვასაც დაინახავდა მარჯვე კაცი.

ცაცხვის ძირას ავარა წკმუტუნებდა. ისიც ცდილობდა ხეზე ასვლას, მაგრამ ამაოდ.

ლევანი ოფლში გაიწურა, რადგან ცაცხვს ტოტები არ ჰქონდა, ხოლო მისი ქოჩორა თავი ბოხოხად ეხურა ნახევარ ეზოს.

ცაცხვის ტლაშუნა ფოთლებში დილის საამო ნიავმა დაჰქროლა. ზემოდან ცვარი იღვრებოდა და თმას უსველებდა ლევანს. აი ახალშენის კოლმეურნეობის ძველი კანტორა. უჰ, აქედან მთელი საათის სარბენზეა. რაც ეს არტელი ხიდისთავს შეუერთდა, ძველ კანტორაში საწყობი მოაწყვეს. საწყობის წინ დაულვაშებული სიმინდის ყანაა, მარცხნივ ფოთლებგაბარდნილი თუთის პლანტაცია. მწვანე ველზე ქურდულად მიიპარება მთის გიჟი მდინარე გუბაზოული.

აი სკოლა. ხიდისთავის თეთრი ჭადრები. სასოფლო კლუბი...

ლევანმა ფეხი მოამაგრა და ოდნავ შებრუნდა ტოტზე. პლანტაციები ამრელებული იყო. ჩაის მკრეფავებით. ის გაფაციცებით ეძებდა რგოლს. როშელსაც დედა ხელმძღვანელობდა. თვალი ჩააყოლა ტუნგოს ნარგავებს, მერე თხილის ტყვრს და მამალაძისეულში დაინახა მზის სხივებზე აელვარებული ჭილის ქუდები. პანტა მსხალთან წითელი დროშა ფრიალებდა. ეს დედას რგოლი იყო.

— დედაა! — გასძახა ლევანმა, — სულიკოო...

თვითონაც კარგად იცოდა, რომ ხმას ვერ მიაწვდენდა, მაგრამ მაინც ეძახდა.

პლანტაციაში ისევ ფრიალებდა პაწია დროშა, ჭილის ქუდები ისევ ბრწყინავდნენ მზის სხივებზე.

— ლიყ-ლიყ-ლიყ... — ჩაიროხროხა მამალმა ინდაურმა.

— ამ! — შეჰყეფა ავარამ და ცაცხვს შეხედა.

* * *

— ოჰ, მუშა კაცს გაუმარჯოს!

ლევანმა თავი ჩაღუნა და გზა განაგრძო ჩაის მწკრივებში.

— ფარანი სად ჩააქრე, ბიჭო, რა ადგილას შემოგათენდა?

ლევანი ხელებსაც იშველიებდა და ძალისძალაზე მიიკვლევდა გზას.

— გამარჯობა არ უნდა თქვა კაცმა, ნაკვეთში რომ შემოდიხარ?

— ვთქვი მე... — წამოიკნავლა ლევანმა.

— დიი-ახ! არ გავს რაღაცა, არ გაგვიგონია.

— მამეცალე, ბიძია, ლევან, თავში არ დაგატაკო.

ლევანი შეჩერდა. ძველ მეომარს პანტელეიმონ სიხარულიძეს ფოთლით სავსე კალათა მკერდზე მიებჯინა და ფრთხილად მოაბიჯებდა. ბუჩქებს აეკრა. კალათიანი გაატარა. მახლობლად ქალების ყრიამული ისმოდა. ბუჩქები მაღალი იყო და კვალში ჩაფლული ლევანი მარტო ჭილის ქუდებს ამჩნევდა.

წელანდელი შავ-შავი ძია მაინც არ ეშვებოდა. ეკითხებოდა, ამ დილას ჩიტი თუ აბანავეო, მიმინოების დასაჭერად როდის წავალთო. ყოველი პასუხის შემდეგ იღიმებოდა და გემრიელად ამბობდა: „დიი-ახ“.

ლევანი გათამამდა:

— ბიძია, აქეთ გადმოგიყვანეს?

— დიი-ახ!

— დედას რგოლში?

— დიი-ახ!

— მერე კოლექტივის თავმჯდომარე რომ ხარ?

— რა უჭირს მერე.

პლანტაციაში ხმამაღლა ხარხარებდნენ. თავმჯდომარესაც გაეღიმა. რა უცნაური ხალხია დედას რგოლში. ყველაფერზე ეცინებათ. ოღონდ ერთი თითი აჩვენე და ისინი — ხა-ხა-ხა-ხა... ლიდა ბებიას მაინც რაღა დაემართა. სახე კეცივით გაეინყღილებია, თავსაფრით ცრემლებს იწმენდს. ანიკო და ლამარაც იცინიან, ვითომ ამათაც ესმით რამე. თანაც გაფაციცებით კრეფენ ჩაის, აქაოდა, მუშაობას არ მოვცდეთო. სერგო ბიძიას ხალათი ამოუკალთავებია. მოუხერხებლად კრეფს. თითო ფოთლის მოწყვეტას თითო საათი უნდება. საღამომდე თუ ასე იმუშავა, რა ბევრი დაუგროვდება! მიტომაც გადმოუყვანიათ დედას რგოლში. დედა სწრაფად შეასწავლის ჩაის კრეფას.

— აბა, ბიძია, ლევან, ან იქით გაიარე ახლა და ან აქეთ. ხალხს ფეხებში ნუ ებლანდები, — მოესმა უცებ და ზემოთ აიხედა. პანტელო ბიძია ნელა მოაბიჯებდა. ახლა ცარიელი კალათა მიეხუტებია გულზე. ქამარში ჩარჭობილ სახელოს ქარი უფრიალებდა.

— სულიკო საით არის, პანტელო ბიძია?

— შინ წამოვიდა, ბიძი. თუთის ფოთოლი წამოიღო.

— მე რომ არ შემხვედრია?

პანტელეიმონმა გაიარა. უხასიათოდაა. ალბათ, ხელი ასტკივდა. ლევანმა უკან მოიხედა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე წელანდელ ადგილას კრეფდა ჩაის. მზის სხივებზე ბრწყინავდა მისი დიდი ოთხკუთხა საათი. ამავე დროს ნაცნობი ხმაც მოესმა. ეს დედა იყო. მასაც ფოთოლი გაეტანა ნაპირზე და ახლა უკან ბრუნდებოდა. თავმჯდომარემ ორიოდე სიტყვა უთხრა ხმადაბლა, უთხრა და წავიდა. მკრეფავებმა თვალი გააყოლეს.

— გვერდებს მიაქციეთ ყურადღება, — მიმართა რგოლის წევრებს დედამ, — შენიშვნა მოგვცეს. გვერდებზე ჩაი გვრჩება.

— ამ ნარეკალზე რა გითხრა, ნადია, ბუჩქებში რომ ამოვიდა? — თქვა პანტელეიმონმა.

— კრეფის დროს გამოთხარეთო.

— ან ერთი უნდა გავაკეთოთ და ან მეორე. ორივეს ერთად მოვასწრებთ?

— უნდა მოვასწროთ, პანტელო. სამუშაოს გამოცალკევებას ცალკე შრომადღეები უნდა.

— ცალკე შრომადღეები!

პანტელო ბიძიამ კიდევ რაღაც თქვა, მაგრამ ამ დროს დედა წინ წამოვიდა და ლევანმა ვეღარაფერი გაიგონა. ის ჩაის ბუჩქებზე გადახრილიყო და ანიკოსა და ლამარას გვერდით ორივე ხელით კრეფდა ნორჩ ყლორტებს. დედა რომ მოუახლოვდა, მთელი ბღუჯა ჩაუყარა კალთაში.

— ცაცხვზე რა გინდოდა, ბიჭო? — მკაცრად იკითხა დედამ.

ლევანი არ მოელოდა ასეთ შეკითხვას. ჯერ ცივი უარი სტკიცა, მერე შერცხვა და გამოტყდა, ცაცხვზე იმიტომ ავედი, თქვენი რგოლის დანახვა მინდოდაო.

— რგოლი იქნება ის, ერთ მშვენიერ დღეს რომ ჩამოეპერტყები იმ ცაცხვიდან. ქათმები ხომ არ გადასულან კიტრებში?

— არა.

— ძროხა გადააბი?

— დიი-ახ!

ახლომახლო მომუშავე ქალებს გაეღიმათ, ლევანი კი მორჩილად შეჰყურებდა გაჯავრებულ დედას. გულში დაიფიცა, ჩემს დღეში იმ ცაცხვზე აღარ ავალო.

პლანტაციის მეორე ნაპირიდან, თხილნარის კიდეზე ტკბილი სიმღერა მოისმოდა. სიმღერა თანდათან ძლიერდებოდა და ვერცხლის ზარივით წკრიალებდა მთელ პლანტაციაზე. პატარა ანიკო და ლამარა მეზობლად კრეფდნენ. დროდადრო გადმოხედავდნენ დედას პაწია ხელებს, რომლებიც საოცარი სისწრაფით ცეკვავდნენ ჩაის ბუჩქებზე. ლევანმა იცოდა, რომ ამათაც ეამაყებოდათ განთქმული მკრეფავის გვერდით მუშაობა. დედას ნაამბობი ჰქონდა ბავშვებისათვის, როგორ მიიღო მონაწილეობა დიდ გამოფენაზე მოსკოვში. მაშინ არც ლევანი იყო დაბადებული და არც ანიკო; მგონი არც ლამარა...

— ოცდასამი წელია, გენაცვალე, ოცდასამი...

ნეტავი ვის ეუბნება ამ სიტყვებს დედა?

— სულ რამდენია, რაც არტელი ჩამოვაყალიბეთ? — ეკითხება პანტელო ბიძია.

— მოითვალე აგერ ცხრაას ოცდაათიდან აქამდე რამდენია. ოცდაოთხი. მეორე წლიდან ვმუშაობ. ოდაც მას შემდეგ წამოვდგი და ვენახიც მერე გავაშენე.

წუთით დუმილი დამყარდა. მხოლოდ ყლორტების ოდნავ გასაგონი წკაპუნი ისმოდა.

ახლა ლიდა ბებია ჩაერია.

— ორმოცდასამი წელი გახსოვს, პანტელო?

— იმას რა დამავიწყებს, — ამოიოხრა ცალხელა კაცმა.

— მარტო ერთი ვაუკაცი გვყავდა ბრიგადაში, ეს ჩვენი გრიშაია ცენტერაძე, ნადიას სახლიკაცი.

დედამ თავი გადაქნია. ალბათ რაღაც მწარე გაახსენდა.

— ნადია მერგოლურად იყო. გაზაფხულია, ხვნათესვა. ერთი კაცის მარჯვენა მილიონად გვიღირს. მოუვიდა, ნენა, გრიშაიას დეპეშა, ამა და ამ ლაზარეთში შენი ბიჭი წევსო. ევირიეთ, დევირიეთ. იმ საღამოსავე გადავარდა. ფეხით ჩასულიყო მახარაძეში. გესმის, გრიშაია? შენს ამბავს ვუყვები.

— მოყევი, მოყევი, — გადმოსძახა წვერიანმა ჭაღარა კაცმა და გოგონებს კალათა დაუცალა, — პანტელო, გაქვს რამე? ეს შენი ქალიშვილების ნაკრეფია. ჩაყარე და ბარემ ერთად გავიტანთ.

— ჰოდა, რას ვამბობდი? ჰო. მეორე დღისთვის ხარი უნდა გავბათ. ხვნას ვიწყებთ. ეს ერთი კაციც გამოგვეცალა ხელიდან? ჰა, რა დრო იყო, გრიშა?!

— ჩაყარე, ჩაყარე, პანტელო, გენაცვალე. მაგას ნუ უყურებ. თავათ ჰკითხე ნადიას. უკეთ მოგიყვება.

ლევანმა სიამაყით გადახედა თავის მამაც დედას. გოგონებმაც გამოაპარეს თვალი. ორი პაწია ხელი კვლავ გასაოცარი სისწრაფით ცეკვავდა ჩაის ბუჩქზე. შენიშნა ლევანმა, როგორ გადაჰკრა სიწითლემ შრომაში გაკაკებულ დედის გამხდარ ღაწვებს.

ლიდა ბებია ნაწყენი დარჩა „გრიშაიას“ ჩარევით. თვალი გააყოლა.

— მაგან აგრე იცის. მუნჯივით ვიმუშაო ამა სადილობამდე, პანტელო? ნადია, რას ფიქრობდი მაინც, რას, რომ გადაეჯეგე იმ ხარებს, არ გეშინოდა? მერე, პანტელო, ზოგიერთს დიახაც ეწყინება, ახლა რომ გაახსენო. გულმოსული იყვნენ ქალები ნადიაზე. ხარებს მოეკიდაო, ფერმას გაჰყვა მთაშიო, ჩალას ზვინავსო.

— ეჰ, სხვა რა გზა იყო, ლიდ! — თქვა დედამ.

— ასეა, ნენა, ა. უწვალებლად აბა რა იქნება. მერე, იცოცხლე, ხარებსაც ვეკიდეთ და... აჰ! — წამოცდა უცებ და ჩაის ბუჩქიდან ამოთხრილი ეკლის ბარდი კვალში ჩააგდო, — ლამარა, ნენა, მოირბინე ერთ წუთას, თვალს გიჭრის. ხელისგულში შემესო, მგონია, ეს სატიალე.

სანამ ეკალს ამოუღებდნენ, შეუჩერებლად ქაქანებდა:

— გამგეობის წევრი ხარ, ნადია, დეპუტატიც ხარ, ნენა, და ყველაფერი. დააყენე ეს საკითხი გამგეობაში. ეკლები თხაროს კაცმა, თუ ჩაი კრიფოს. ჩაი მაკრეფიე. არ უნდა ამას დიდი მეცნიერობა. ხელის სიმარჯვე, თვალის სისწრაფე და... გაეზარდე მამაშენს, ნენა, გაიქეცი ახლა.

ლამარამ ლევანს გაურბინა და ახლა მამას ამოუდგა გვერდით. პანტელეიმონს თავი ჩაეღუნა. ერთადერთი მარჯვენა ხელით ჰკრეფდა დუყს. ჭყლოპინა ქალიშვილების გუნდი უახლოვდებოდა თხილნარის მხრიდან. კალათები მოეპირთავებინათ.

— დედა, — წასჩურჩულა ლევანმა ნადიას, — რად არის ასე ბრიგადა ხალხი შენს რგოლში?

— სტუმრებიანა წამოვედით, შვილო. ჩაი არ იცდის.

— არ იცდის?

— ჰო, არ იცდის. თუ დღეს არ მოვკრიფეთ, გაუხეშდება, მერე აღარ მოიკრიფება.

— კალთაში ჩაგიყარო?

— ჰო. კარგი ბიჭი ხარ. გაიქეცი ახლა, ცივი წყალი მოგვირბენინე. ის აჯობებს ყველაფერს. გაყევი ამას, თუნგული მწკრივის თავშია, დროშასთან.

ლევანმა ხელები გაითავისუფლა და სირბილით წავიდა ნაპირისაკენ.

გამყოფი მინდვრის გადაღმა სხვა რგოლები შეესოდნენ პლანტაციებს. მინდორში ლაბადები გაეშალათ. გროვა-გროვა დაეყარათ ზედ ჩაის მწვანე ფოთოლი. „ნეტავი ვინ სვამს ამდენ ჩაის?“ — გაუელვა ლევანს. წამით თავი ისევ იმ ცაცხვზე წარმოიდგინა, რომელზე ასვლაც აუკრძალეს. უუ, რამდენი პლანტაცია ჩანდა იქიდან! ახლა ყველგან კრეფენ. ყველგან ეჩქარებათ, რადგან „ჩაი არ იცდის“. მერე ეს პლანტაციები ხომ მარტო ხიდისთავისა არ არის. სხვა კოლმეურნეობებშიაც კრეფენ... ჰაუ, რამდენი მოიკრიფება დაღამებამდე! სკოლის დერეფანი ჭერამდე რომ აავსო, მაინც არ დაეტევა. უნდა ადგე, ერთ საღამოს გუბაზოული უნდა აადუღო და...

მის წინ მანქანა გაჩერდა. შოფერი ხელს უქნევდა, წყალი დამალევინეო. სანამ ის სვამდა, ლევანმა მანქანის ძარაზე მიკრულ აფიშას გააყოლა თვალი.

— ა-მ, ამ, დღე-ებ-ში, დღეებში; ბა-თუ-მის, ბათუმის, თე-ატ-რის, თეატრის; გა-სტრო-ლე-ბი, გასტრო... გასტლო...

— რას კითხულობ, ბიჭო?

— მ... მმ... — დაიბნა ლევანი და შოფერს ნაკლული თუნგული ჩამოართვა.

— ეგ შენი ჭკუის საქმე არ არის, — გაუცინა შოფერმა, — მოუსვი!

ფარდულიდან ბრიგადის მწონავი გამოვიდა. ძარის უკანა ფერდი გადმოშალეს.

ლევანი სულმოუთქმელად მიძუნძულებდა ჩაის ბუჩქებში. უნდოდა რგოლში ამბავი მიეტანა რომ მანქანა მოვიდა. ახლა დილის ნაკრეფს წაიღებენ. რომ მანქანაზე რაღაც წერია, მაგრამ როცა ის მკრეფავებს წამოეწია, ქალიშვილები უკვე ბათუმის თეატრზე ლაპარაკობდნენ.

— სად იყავი, ნენა, ამდენ ხანს? — ჰკითხა დედამ, — წყალი ლიდა ბებიას მიუტანე.

ლევანი იქით წაბაჯბაჯდა, მაგრამ ბუჩქებში ვერ გააღწია.

— დალიე, ნადია, უმცროსი ხარ, — გადმოსძახა მოხუცმა ქალმა.

სველმა თუნგულამ კვლები მოიარა. სულ ბოლოს დედასთან მოვიდა.

ლევანს რაღაცა აწუხებდა, მაგრამ თქმა ვერ მოეხერხებია. მისთვის კი არავის ეცალა.

— დედა, — ვეღარ მოითმინა ბოლოს ბიჭმა, — მოიხედე აქეთ, დედა?

— რა იყო?

— მოიხედე?

— თქვი, ბიჭო, რისთვის მოვიხედო.

— დედა, რად გვინდა ამდენი ჩაი?

— რამდენი? — ნადიას ტუჩებზე ალერსის ღიმილმა გაირბინა.

— ჩვენი ცაცხვიდან იმდენი ჩაი დავინახე...

— მერე? — მოიღუშა დედა.

— რად გვინდა ამდენი ჩაი, ვინ უნდა დალიოს?

— ვინ უნდა დალიოს? დავლევთ ჩვენ.

— ამდენს?

— კიდევ ქალაქში გავაგზავნით. ჩვენი ქვეყანა დიდია, ძალიან დიდი. ყველგან ჩვენისთანა ხალხი ცხოვრობს. ჩაი ხომ უნდათ? უნდათ. ჰოდა, უნდა გაუგზავნოთ.

— ნათესავებია?

— მაშ! დღეს დილას ხაჭაპური ჭამე? საიდან მოვიდა, თუ იცი, ის პური. აქ ხომ ჩაის და სიმინდის მეტი არაფერი გვაქვს. ყურძენი გვაქვს კიდევ. პური იმათ გამოგვიგზავნეს. მანქანაც გამოგზავნილია, სინათლეც, თვითმფრინავიც, მატარებელიც, ტანზე რომ გაცვია, ისიც. აბა? ჩვენ, კიდევ, ჩაის ვუგზავნით. მე ხომ მოგიყევი. მოსკოვი რომ მოვიარე, ვნახე: ამ ქალაქშიც, იმ ქალაქშიც ჰყიდიან ჩაის. ქვეყანა ყიდულობს. აიღებ და ზედ აწერია: „საქართველოს ჩაი“, ესე იგი ჩვენი, აქაური.

— რას გეხვეწება, ნადია, ვაჟიშვილი, ხომ არ მოეწყინა? — დაიძახა ზედა მწკრივიდან პანტელეიმონმა.

— არაფერს, მეუბნება...

— შინ წავალო?

— იმას მეუბნება, ვისთვის ვკრეფთ ამ ჩაის და რატომაო...

— ჰოო, იმისთვის, ბიძია, რომ გაფუჭდება, თუ არ მოვკრიფეთ.

მაგრამ ლევანი უკვე აღარ უსმენდა კეთილ პანტელოს. მხარში ამოსდგომოდა მშობელ დედას და ჩაის ბუჩქებს თავგამეტებით ეპოტინებოდა.

სადღაც ხიდისთავის ჭადრების თავზე თვითმფრინავმა გადაიქროლა. ქარს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოჰქონდა მისი მძლავრი გუგუნი. ზემოდან, ვინ იცის, კიდევ რამდენი პლანტაცია ჩანს, რომელიც ლევანს არ უნახავს. ჩვენი ქვეყანა დიდიაო. იმის შოფერსაც ხომ უნდა ჩაი. დილით გემრიელად დალევს, ნახევარ ხაჭაპურს დააყოლებს და მერე ცაში აფრინდება.

კიდევ ორჯერ მოვიდა საბარგო მანქანა. კიდევ აახრიგინეს ძარის საკეტები. მერე სულიკომაც მოირბინა. დედას გივის წერილი მოუტანა. თივა საკმაოდ დავამზადეთ და ამ დღეებში ჩემი მანქანით გამოვალ ყუბანიდანაო. ყუბანი! ძალზე შორს უნდა იყოს. ნეტავი იმ თვითმფრინავის შოფერი თუ ხედავს ახლა ყუბანს, გივის, მის მანქანას.

— სულიკო! — დაიძახა მან, რომ ეს ეკითხა, მაგრამ ხმა ვეღარ მიაწვდინა. სულიკო თავის ტოლებში გარეულიყო და ფოთლის ჩასაყრელად კალთას იკეცავდა.

დღის დანარჩენმა ნაწილმა შეუმჩნევლად გაირბინა. ეზოში შემოსვლისას მოალერსე ავარა ხელის კვრით მოიცილა. დედა რომ ძროხას წველიდა, რაღაც უცნაური მოუთმენლობით ეჭირა ნიკორა ხბოს საბელი. სანამ ვახშამს მოუსხდებოდნენ, ფიცი შეშალა, ერთხელ კიდევ აიპარა საყვარელ ცაცხვზე და მანამ იჯდა იქ ფოთლებში შეყუჟული, სანამ ქათმები სათითაოდ არ აფრინდნენ ქლიავის ტოტზე და არემარე შეღამების ბინდბუნდმა არ მოიცვა.

საინტერესო გამოფენა

გასულ თვეში, საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში მოწყობილი იყო გამოფენა „წიგნი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

გამოფენამ თბილისის მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მთელი თვის განმავლობაში გალერეა ყოველდღე ხალხით იყო სავსე.

გამოფენა დიდი სიყვარულითა და საქმის ცოდნით მოამზადა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურისა და გამომცემლობათა სამმართველომ.

წარმოდგენილი იყო სამი ათასამდე წიგნი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა გამომცემლობამ გამოსცა. ეს წიგნები დაჯგუფებული იყო დარგობრივად, ცხრა განყოფილებაში.

ყველა განყოფილება ერთნაირად იზიდავდა მნახველებს. გამოფენაზე წარმოდგენილი წიგნები ნათლად მოწმობდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული საგამომცემლო საქმის მაღალ დონეს, პოლიგრაფიული ტექნიკის მიღწევებსა და წიგნის გაფორმების მაღალ კულტურას.

გამოფენაზე საგრძნობი ადგილი ეკავა მხატვრულ ლიტერატურას. ამ განყოფილებაში წარმოდგენილი იყო როგორც გერმანელი კლასიკოსების თხზულებები, ისე თანამედროვე მწერლების წიგნები. განსაკუთრებით იგრძნობოდა თარგმნილი ლიტერატურის სიუხვე.

ლამაზად არის გამოცემული რუსი კლასიკოსების თხზულებები: ლევ ტოლსტოის, ნ. გოგოლის, ა. ჩეხოვის, ა. პუშკინის და სხვათა ტომები.

დიდი რაოდენობით არის გამოცემული საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა. სტენდებზე განლაგებული იყო მ. გორკის, ვლ. მაიაკოვსკის, ა. ტოლსტოის, ა. ფადეევის, მ. გლადკოვის, ლ. ქიაჩელის, ა. ჭეიშვილის და სხვათა წიგნები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა ლიტერატურისადმი. წელს იქ გამოიცემა საბჭოთა ავტორების 1.300 სახელწოდების წიგნი, 16 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. ლამაზად გაფორმებულ დიაგრამებში აშკარად ჩანდა, თუ დღითი დღე როგორ იზრდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წიგნის გამოცემის საქმე. მაგალითად, გასულ წელს გამოცემულ იქნა 8.200 სახელწოდების წიგნი, 106 მილიონი ტირაჟით.

გამოფენაზე სპეციალური კუთხე ჰქონდა დათმობილი წიგნის ბეჭდვის პროცესებსა და პოლიგრაფიული ტექნიკის ჩვენებას. აქ ნათლად იყო ნაჩვენები, თუ რა პროცესებს გაივლის წიგნი ხელნაწერიდან გამოცემამდე. წარმოდგენილი იყო ღრმა და ბრტყელი ბეჭდვის ექსპონატები. ამ განყოფილებაში სპეციალისტები ესაუბრებოდნენ მნახველებს წიგნის ბეჭდვისა და პოლიგრაფიული ტექნიკის შესახებ.

ეს გამოფენა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევათა თვალსაჩინო დემონსტრაცია იყო.

გერმანული წიგნის გამოფენაზე. საგამომცემლო სამმართველოს უფროსი კარლ ვლოხი ესაუბრება გამოფენის დამთვალიერებლებს.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა

ალექსანდრე საჯაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის სექტემბერში 10 წელი შესრულდა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის ალექსანდრე საჯაიას გარდაცვალებიდან. კომკავშირის რიგებში აღზრდილი ახალგაზრდა მწერალი მგზნებარედ უმღეროდა დიად სამშობლოს, ჩვენს გმირ ხალხს, სამშობლოსათვის თავდადებულ მამაც მებრძოლებს. მისი ნაზი ლირიკა ხიბლავდა და დღესაც ხიბლავს მკითხველს. ლექსებს გარდა ალ. საჯაიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე საბავშვო ზღაპრები და თარგმანები ინგლისური ლიტერატურიდან. ამას წინათ საქ. საბჭოთა მწერლების კავშირში შესდგა პოეტის ხსოვნის საღამო.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ალექსანდრე საჯაიას ლექსებსა და თარგმანებს.

ბავშვთა პარადი გორის ქუჩებში
(ციკლიდან „ლექსები გორზე“)

თვალს გაათენებს ფერთა სისავსე,
მზე ახალგაზრდა მოდის, მოცურავს,
დღეს სახელოვან გორის მიწაზე
ეს რაოდენი ვარდი მოსულა!

მოედო ღრუბლებს მთებზე მიფენილს,
მოკრიალებულ სილურჯეს ცისას
ფერი ბისონის, სინგურის ფერი
და მოკასკასე ფერები მზისა.

და შემეცოდა მე მუნჯი მტკვარი,
მას რაღაც სურდა ეამბნა ჩქარა,
რაღაც საოცარ ფიქრების გვარი
არ ასვენებდა უძველეს ქალაქს.

თვითონ ციხეც კი, მარტოდ გაჭრილი,
ეუბნებოდა ცას და ქვეყანას:
— რამდენი წვიმა იყო საჭირო,
აქ ამ ყვავილებს რომ გაეხარათ!

წყარო

შევდივარ მწვანით დაბინდულ ტყეში,
წყარო კისკასებს, ტყე კი წყნარია...
კრიალა წყალით ავივსე პეშვი
და ვთქვი: ესეც ხომ ჩვენი წყალია!

ჩვენია! მკერდზე გადამასხურეთ,
რომ უკვდავების ვიგრძნო გენია...
ჩემთვის ენძელებს, ქერა ასულებს,
ბილიკზე მწვანე გაუფენიათ.

ჩვენია! ვარდებს ფერად-ფერადებს
წყარო და ჩერო აურჩევიათ,
ჩვენი ქვეყანა მთიდან ველამდე
და გაზაფხულიც ისევ ჩვენია.

დავხუჭავ თვალებს:
ტრფობით დამთვრალი,
მე ჩემს სამშობლოს
მივიკრავ გულთან...
ძმებო, გული მაქვს ცამდე მართალი
და მთის წყაროზე ათასჯერ სუფთა.

სოფელი ბიჭი

სოფლელი ბიჭი ვიყავი,
ჭილოფის ქუდი მეხურა.
მდელოზე წამოვწვებოდი
და ვოცნებობდი გლეხურად:

— ნეტავ მე მომცა ის ზეცა,
ვარსკვლავი დამაკრეფინა,
იფნებთან ქარის ჩურჩული
მარტო მე გამაგებინა;
თეთრად კაშკაშა მწვერვალზე
კოშკები ამაგებინა.

— ნეტავ ჩემი ქნა ის ქალი, —
გულში ვამბობდი გლეხურად;
კომკავშირელი ვიყავი,
გულს დარდი აღარ მებურა,
სოფლელი ბიჭი ვიყავი
ჭილოფის ქუდი მეხურა.

სპანური მოგზიეებიდან

საღამოთი შველი გადამეღობა,
ას წელიწადს მაძებნია კვალი;
მთვარედ მექცა, ვარსკვლავებში
შეტოპა,
მივდევ ელვის მოგიზგიზე ხმალით.

სალოცავად ქართველობა მეყოფა,
საფიცავად შენი თაფლის თვალი.

უშენობით გული დამიმიწდება,
მდევის მკლავებს წაერთმევა
ძალა;
კვალდაკარგულს ფეხი
გადამიცდება,
გავტყდები და მომაშველებ
დალალს;

მთის კაცი ვარ, ხელი ცამდე
მიწვდება,
ქარის მუხლით მოგეწევი, ქალავ.

დავიწვი და ენგურსა ვთხოვ,
მეგობარს,
მომასხუროს მკერდზე წმინდა
წყალი.
შენი შუქი ბნელში გადამეღობა,
ღრუბელზედაც ვნახე შენი კვალი.

საამაყოდ ქართველობა მეყოფა,
საფიცავად შენი თაფლის თვალი.

ჰ. ბ. შელი

სიყვარულის ფილოსოფია

ნაკადულნი მდინარეებს ერთვიან,
მდინარენი ოკეანეს ბოლოს,
ციურ ქართა საწადელიც ერთია —
მარად ღელვას შეეხლართონ
მხოლოდ.

არაფერი აღარ არის კენტად,
ცის კანონმა ყველა წყვილად
შეჰყარა.
ყველაფერი თუ წყვილდება, ნეტავ
რატომ მე და შენ არა?!..

მთა ცას ჰკოცნის, შეხეთ, მაღლა
წასული,
ტალღა ტალღას არის
გადაწყობილი,
ვინ შეინდოს ეს ყვავილი, ასული,
რომ არ ყავდეს მას პატარა
ძმობილიც.

მზის სხივები ჩვენს მიწაზე იხრება,
მთვარის შუქმა ზღვასაც კოცნა
ახარა,
რა ფასი აქვს ასეთ კოცნას,
მითხარი,
თუ მე და შენ აღარა?!..

ინგლისური ხალხური ბალადა

ღორღ რენდალ

— სად იყავი შვილო ჩემო,
საყვარელო ლორდო რენდალ,
მიპასუხე სად იყავი,
მშვენიერო ვაჟო ჩემო?
— ტყეში ვიყავ სანადიროდ;
დამაძინე ჩქარა, დედა,
ნადირობით მოვიქანცე,
იქნებ ძილმა დამიამოს...
— მერე ვისთან ისადილე,
შვილო ჩემო, ლორდო რენდალ,
მერე ვისთან, საყვარელო,
მშვენიერო ვაჟო ჩემო?
— საყვარელთან ვისადილე,
დამაძინე, ჩქარა დედა,
მოვიქანცე ნადირობით
იქნებ ძილმა დამიამოს.
— სთქვი, სადილად რა მოგართვეს?
შვილო ჩემო, ლორდო რენდალ,
სთქვი, სადილად რა მოგართვეს,
მშვენიერო ვაჟო ჩემო?
— მწვანე თევზის წვენი გვქონდა,
დამაძინე ჩქარა, დედა,
მოვიქანცე ნადირობით,
იქნებ ძილმა დამიამოს.
— მეძებრები სად არიან,
შვილო ჩემო, ლორდო რენდალ?
მეძებრები რა უყავი,
მშვენიერო ვაჟო ჩემო?
— მწვანე თევზი მათაც სჭამეს
და მომიკვდნენ... ჩქარა, დედა,
ნადირობით მოვიქანცე,
იქნებ ძილმა დამიამოს.
— შვილო, როგორ მოწამლულხარ,
ჩემო შვილო, ლორდო რენდალ,
ვაი, როგორ მოწამლულხარ,
მშვენიერო ვაჟო ჩემო!
— ვაი, მართლა მოვიწამლე,
დამაძინე, ჩქარა, დედა,
გული ისე მიღონდება,
იქნებ ძილმა დამიამოს.

...ოთამაში ...ამოუკრეს

გ. შოთაძე

უმრავლესობამ არც იცოდა, რომ იმ დღეს ოსტატ ფეხბურთელთა თამაშის წინ თბილისისა და ერევნის „ნორჩი დინამოელები“ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამიტომ სტადიონზე შემოსული მაყურებლები გაკვირვებით შეაცქერდნენ ჩრდილოეთ ტრიბუნის თავზე, ფეხბურთისათვის უჩვეულო ანგარიშს 11:0-ს, ხოლო სანამ თავიანთ იარუსს, რიგსა და ადგილს მოძებნიდნენ, ეს ანგარიში 13:0-დე გაიზარდა.

საოცარი მატჩის მომსწრენი გახდნენ სპორტის მოყვარულნი. დასრულებული ოსტატებივით თამაშობდნენ 15-16 წლის თბილისელები და ყოველ 5 წუთში თითო ბურთი გაჰქონდათ. მაყურებელს მოსწონს, როდესაც ფეხბურთელი ძლიერად და ზუსტად დაარტყამს კარში, ანდა მეტად ძნელ მდგომარეობიდან ახერხებს ბურთის გადაწოდებას. მოსწონს, ტყვიასავით წამოსულ ბურთს რომ ადგილზევე „გაყინავს“ მოთამაშე. მაგრამ მაყურებლები ყველაზე დიდ სიამოვნებას მაშინ განიცდიან, როდესაც მიხვდებიან, რომ ესა თუ ის კომბინაცია ფეხბურთელთა მიერ წინასწარ იყო გააზრებული. აი, მოთამაშემ ბურთს ფეხი ააცდინა, ისმის მაყურებელთა აღშფოთებული შეძახილები და... ტაშისცემა, რადგან ბურთი მოწინააღმდეგეს კი არ ჩაუვარდა, არამედ პარტნიორს მიუვიდა. მაყურებელი მხოლოდ ახლა ხვდება, რომ „ფეხის აცდენა“ ხელოვნური, წინასწარგანზრახული იყო. აი რომელიღაც თავდამსხმელი თითქოს უმიზნოდ, უმისამართოდ გარბის, სადღაც პირითი ხაზისაკენ; არც ბურთია იქითკენ, არც — მოთამაშეები. მაგრამ უახლოვდება თუ არა საჯარიმო მოედანს, ფეხს ძლიერად იქნევს და... მოწინააღმდეგის მეკარე ძლივს ახერხებს ბურთის მოგერიებას. ესეც გუნდის მიერ წინასწარდამუშავებული და გააზრებული კომბინაციაა. აი, ასე მოფიქრებულად, ასე ოსტატურად თამაშობდნენ იმ დღეს თბილისის „ნორჩი დინამოელები“ და სარეკორდო ანგარიშითაც გაიმარჯვეს — 16:0.

იმ საღამოს მაყურებლები სტადიონზე მოსვლის დროს საათობით და წუთობით კი აღარ ანგარიშობდნენ:

— მე ადრე მოვედი, ჯერ კიდევ 7:0 იყო — ამბობდა ერთი.

— მე ცოტა შემაგვიანდა, მხოლოდ მე-13 ბურთს მივუსწარი — ამბობდა მეორე.

ერევნის „ნორჩ დინამოელებთან“ ერთად სტადიონის თანამშრომლებიც „გასაჭირში“ ჩააყენა დიდმა ანგარიშმა; როდესაც თბილისელებმა მე-15 ბურთი გაიტანეს, ჩრდილოეთ ტრიბუნის თავზე შავი საღებავით გამოყვანილი რიცხვი „14“ გაქრა და მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდა „15“ — აშკარად ეტყობოდა, იქვე, სახელდახელოდ დაეწერათ წითელი საღებავით.

ალბათ, მაყურებელთა უმრავლესობას მალე დაავიწყდებოდა თბილისელი ნორჩი ფეხბურთელების ეს ბრწყინვალე გამარჯვება, ზოგი შემთხვევითად ჩასთვლიდა ამ მიღწევას, ზოგი მოწინააღმდეგის სისუსტეს გადააბრალებდა დიდი ანგარიშით მოგებას. მაგრამ ქალაქ სარატოვიდან მიღებულმა ცნობებმა ეს ეჭვები სამუდამოდ გააქარწყლა.

სარატოვში ტარდებოდა „ნორჩ დინამოელთა“ საკავშირო პირველობის საფინალო შეხვედრები. თბილისელებმა ზედიზედ დაამარცხეს ჩელიაბინსკელები — 9:0, შემდეგ სიმფეროპოლი ისევ 9:0, კიევი — 5:1, როსტოვი — 12:1 და ბოლოს, გადამწყვეტ შეხვედრაში ლენინგრადელები — 4:2. პირველობის მთელ მანძილზე თბილისელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა 72 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, თვითონ კი მხოლოდ 6 მიიღეს და წელს, უკვე მესამედ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი „ნორჩ დინამოელთა“ შორის.

სარატოველმა მაყურებლებმა თავიდანვე შეიყვარეს სწრაფი და ნებისყოფიანი თბილისელები. ისინი უკვე მეორე დღესვე ზეპირად გაიძახოდნენ ხაზარაძისა და მაჭარაშვილის, გომელაურისა და უნგიაძის, კერესელიძის, ბაკურაძის და სხვათა გვარებს. ყვავილების თაიგულებით ხვდებოდნენ თამაშის წინ, ტაშით აჯილდოებდნენ ყოველი გამარჯვებისას. მოხდა ისე, რომ ძვირფას სტუმრებს სარატოველები ვეღარ შეელიენ და პირველობის დამთავრების შემდეგ ქალაქში დარჩენა სთხოვეს საჩვენებელი და ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. მაგრამ სარატოვის „ენერგიამ“, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველობაზე იბრძვის „ბ“ კლასის გუნდებს შორის... უარი განაცხადა შეხვედრაზე: „ვინ იცის... ყველაფერი ხდება, ერთიც ვნახოთ და მოგვიგონ, მერე სადღა გამოვყოთ თავი?“ — ამბობდნენ თურმე ისინი. ქალაქის სხვა გუნდებმაც ვეღარ გაბედეს ნორჩ თბილისელებთან შებმა. რა დასამალია და, იქნებ პატარა ფეხბურთელებს ეს ამბავი უფრო საამაყოდ მიაჩნიათ. ვიდრე ჩემპიონობა?

* * *

1952 წელს თბილისში სპორტსაზოგადოება „დინამოსთან“ ჩამოყალიბდა ნორჩ ფეხბურთელთა სექცია. მალე სექცია სკოლად გადაკეთდა, რომელიც 120 პატარა ფეხბურთელს აერთიანებდა. სკოლას სათავეში ჩაუდგა სპორტის დამსახურებული ოსტატი გრიგოლ გაგუა. იგი დიდი მუყაითობითა და გასაოცარი ენერგიით შეუდგა პატარა ფეხბურთელების წვრთნას. ფეხბურთის ძველი ვეტერანი, მრავალ დაძაბულ სპორტულ შეხვედრებში გამოწრთობილი ოსტატი მთელ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა ნორჩ ფეხბურთელებს. ტექნიკურ და ტაქტიკურ ჩვევებთან ერთად მწრთვნელი დიდ ყურადღებას აქცევდა მოთამაშეებში ნებისყოფის გამომუშავებას, იმ აუცილებელი

ვარჯიშის დაწყების წინ.

თვისების განმტკიცებას, რომელსაც გამარჯვებისადმი რწმენა ჰქვიან.

გრ. გაგუას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში გადაყვანისა, იგი მაინც განაგრძობს ნორჩ ფეხბურთელებთან მუშაობას, თავს ვერ ანებებს აღსაზრდელებს. მწრთვნელების: სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. პანიუკოვისა და ა. გუკასიანის მეთვალყურეობით, აქ, საბჭოთა ფეხბურთის მომავალი, სახელოვანი წარმომადგენლები იზრდებიან.

„ნორჩ დინამოელთა“ სკოლაში თამაშობენ ძველი ფეხბურთელების: პაიჭაძის, ჭუმბურიძის, ჯორბენაძის, ყალიჩავას და სხვათა შვილები. სკოლის პედაგოგების ამოცანაა, რომ არა მარტო

განა მარტო ოსტატთა შეჯიბრებისას ივსება სტადიონის ტრიბუნები.

კი მთელი გუნდი მოაწყდება ერთად — 11 კაცის შემადგენლობით. ასე ჯობს, უკვე შეწყობილნი არიან და მწრთვნელების წინაშე უფრო გამოაჩენენ თავიანთ ოსტატობას. თამაშობენ პატარები, მთელი მონდომებით, მთელი გატაცებით. პირველად თამაშობენ ნამდვილ სტადიონზე. პირველად ურტყამენ ბურთს ნამდვილ კარებში, და თვითეული მათგანი გულის ფანცქალით ელის,



ნორჩი ფეხბურთელები თვალს ადევნებენ ვარშავის ნაკრებისა და თბილისის დინამოელების შებრძოლებას. გამოჩენილ ფეხბურთელთა თამაშის ყურებას არანაკლები სარგებლობა მოაქვს, ვიდრე წრთვნას.

— კარგად თამაშობ, მიგიღებთ, მაგრამ ხვალ სკოლიდან ნიშნები მოიტანე, ვნახოთ, როგორ სწავლობ, — ეუბნება გრ. გაგუა მომავალ „ნორჩ დინამოელს“.

რომელიმე მათგანმა, არამედ ყველამ აჯობოს თავის მამას.

წელს „ნორჩ დინამოელებს“ პირველი გამოშვება აქვთ. 20 მათგანმა დაამთავრა სკოლა. ზოგს „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა სათადარიგო შემადგენლობაში ჩარიცხავენ, ზოგს ქალაქის სხვა გუნდებში. სკოლა კი კვლავ შეივსება ახალი მოსწავლეებით.

ყოველ კვირა დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ტარდება ე. წ. „ღია კარების დღე“. მოდიან პატარები ქალაქის ყველა უბნებიდან. ზოგი მშობელს მოჰყავს, ზოგი მარტო მოდის. ხან თუ ვის გამოუძახებს გრიგოლ გაგუა და ვის გამოკითხავს დაწვრილებით: სად სწავლობს, რამდენი წლისაა, როდის დაიწყო ბურთის თამაში და სხვ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწრთვნელს მოეწონა მისი თამაში და სკოლაშიც მიიღებს. მაგრამ ასეთი გამოკითხვის ღირსი ორი-სამი ბავშვი თუ გახდება ხოლმე. დანარჩენები გულდაწყვეტილნი ბრუნდებიან სახლებისკენ იმ იმედით, რომ შემდეგ კვირას სხვა ტანსაცმელს გადაიცვამენ, შეიპარებიან რომელიმე უბნის „გუნდში“ და კვლავ სცდიან ბედს.

ესენი „ნორჩ დინამოელთა“ სკოლაში არ მიიღეს, არ აღმოაჩნდათ სათანადო მონაცემები, ეწყინათ პატარებს, მაგრამ როგორც კი მათმა ამხანაგებმა თამაში დაიწყეს, ყველაფერი გადაავიწყდათ.

ფოტო ო.თ. თურქიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მივყვებით ხალხის ჯგუფს, რომელიც ატელიეს კარებს მიაწყდა.

მაღალთაღიანი დარბაზი, სწორი იატაკითა და უსწორმასწორო კედლებით. კედლებს ობობას ქსელივით მისდევს ხარაჩოები, მავთულხლართები, ამწევი ონკანები, და აქვე არიან ყოველი კინოგადაღების სული და გული, დილის მზისა და მთვარის შემცვლელი მანათობელი ფარები, იუპიტერები და ბებები, რომელთა დამაბრმავებელ სხივებისთვის ბევრჯერ უჩივლიათ კინოხელოვნების თვით თავგადადებულ მაშვრალთ. ჭერიდან იატაკამდე ნამდვილი წვიმაა თოკებისა, კიბეებისა, ბაგირებისა...

აქ, ამ შენობაში ბევრჯერ „ჩაუძირავთ“ სახაზო კრეისერები, უჩვენებიათ საზღვაო ბრძოლები, აქვე ამტყდარა მძვინვარე ქარიშხალი და სუნთქვისშემკვრელი ქარბუქი; ერთ დღეში აუგიათ ნადირშაჰის სრა-სასახლე, თუ ძველი თბილისის ვიწრო ქუჩები, კოლხეთის დაბლობი თუ კავკასიის მარადთოვლიანი ქედები, აქვე აღწევენ თვითმფრინავები „მეშვიდე ცას“ და მანქანები ანვითარებენ თავბრუდამხვევ სიჩქარეს, და იდილიურ გარემოში, ღელის რომანტიულ ჩხრიალისა და ვარსკვლავებით მოპირკეთებულ ცის ქვეშ იღვიძებს პირველი ყვავილები ბედნიერი სიყვარულისა.

აქ ცოცხლდებიან გარდასული დღეები; ლეგენდად ქცეული სახალხო გმირები, მატიანენი და ხავსმოკიდებული მუნჯი ძეგლები აქ იდგამენ ენას.

აი, ახლაც შენობის შუაგულში აგებულია პავილიონი იშვიათი დარბაზით, რომლის იატაკს ქაღალდზე დახატული პარკეტი, მარმარილოს სვეტებს ფანერის ფიცრები და ფანჯრის იქით ნამდვილ ქალაქს დეკორაციული მაგნიტოგორსკი ცვლის.

ორრიგად ჩამწკრივებულ მაგიდებს უსხედან „მეფოლადენი“, და „მერიქიფე“ წამდაუწუმ ავსებს ჭიქებს ლაღიძის წყლებით. ხოლო შემდეგ კინოდარბაზში ვინმე მაყურებელი იხუმრებს: „ჰო, რა პურმარილია. იმ სუფრასთან დამსვა რას მოვილხენდი?!“.

დიდ, გადამღებ მანქანასთან, რომელიც ხან მსუბუქ, გადახდილ ავტომობილზე დგას, ხანაც მოძრავ ონკანზე, ნამდვილ თვითმფრინავსა და ხომალდზე ზის აპარატში თავშერგული ადამიანი — ოპერატორი.

იგია ამ სამეფოს ღირსეული მემატიანე. ხოლო ჭიქების წკარუნი, საერთო ხმაური და სუფრისათვის დამახასიათებელი ზუზუნი, და ბოლოს თამადის სადღეგრძელო და ტაშის გრიალი სამუდამოდ რჩება ხსოვნაში ხმის ჩამწერ მანქანას, რომელიც შემდეგ, ლაბორატორიაში განუწყვეტლივ იმეორებს ყოველივეს, სანამ ხმის ოპერატორი ოპერაციას არ გაუკეთებს სხვადასხვა შეძახილებს, ჩაქუჩების ცემას, სირენის ხმას, სტვენას, რაც სრულიად უადგილო ადგილზე იჩენს ხოლმე თავს.

აქვეა ფილმის დირექტორი, რომელსაც განსაზღვრულ საათებში ამოძრავებს რეჟისორი, ხოლო თავის მხრით მას მოძრაობაში მოჰყავს მთელი დამხმარე პერსონალი კომპოზიტორიდან სცენის მუშაკამდე.

აი, შავგვრემანი, საშუალო ტანის გამხდარი ქალი. ის ყოველი კადრის გადაღების წინ, პატარა, შავ დაფაზე წარწერილი ნომრითა და ფილმის სათაურით დგას გადასაღებ ობიექტთან. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ შემდეგ ყველაფერი რიგზე და თანმიმდევრულად იქნას შეკრული, რომ კადრებმა მოსძებნონ თავ-თავისი ადგილი საერთო ფერხულში.

სულ სხვაა გადაღება „ნატურის“, ბუნების წიაღში. აქ უკვე ვერავის ეტყვი საყვედურს იმის გამო, რომ მზე როგორღაც ვერ ანათებს, ან ღრუბლები იწყება გადაღება. უპირველეს ყოვლისა ოპერატორი იღებს ეპიზოდის ნომერს. ეს შემდგომში აადვილებს ფილმის დამონტაჟებას.

ჩამოეფარა და უცბად გემრიელი შხაპუნაც წამოვიდა.

აქ, როგორც ამბობენ ხოლმე — ბუნებას დრო უნდა შეურჩიო, უნდა მიუსწრო მაშინ, როცა მისი სილამაზე და სიდიადე შენს ამოცანებს უპასუხებენ და აღბეჭდო კინო ლენტთა „მეხსიერებაში“.

აი ყველაფერი დამთავრდა. გადაღებები ჩატარებულია, ხმა და მუსიკა ჩაწერილია, ფინალი რამდენიმეჯერაა შეცვლილი და ბოლოს დადგენილი. სამუშაოები გადადის ლაბორატორიაში, სადაც ოთხი ლენტი გადაიწერება ორზე და შემდეგ ერთზე — სურათი მზადაა.

ძნელი და რთულია კინომუშაკთა შრომა, მაგრამ ძალზე მიმზიდველია და საინტერესო. კარგი ფილმი ახარებს და აღაფრთოვანებს მილიონობით მაყურებელს.

დამდგმელი სანიშვილი, რეჟისორი გუდავაძე და ოპერატორი ფელდმანი იღებენ სურათს „ისინი მთებიდან ჩამოვიდნენ“ — ჩვენი მაყურებელი აქ კვლავ იხილავს ნიჭიერ მსახიობს ლეილა აბაშიძეს.

ჩვენ დავესწარით გადაღებებს კინოსტუდიაში. შემდეგ რუსთავს მიდიოდნენ, იქიდან მოსკოვში, ურალში და 1954 წ. დასასრულისათვის ისინი მიაღწევენ კინოთეატრების ეკრანამდე.

ასეთია გეგმა.

ვახტანგ ჭაბუკიანი და რეჟისორი მანაგაძე დგამენ ფერად, დოკუმენტალურ ფილმს: „ქართული ბალეტის ოსტატები“. კინოსტუდიაში ახლაც ფარავს მთელ კედელს უზარმაზარი თოვლიანი ქედების პანორამა, რომლის ფონზე მიმდინარეობდა გადაღება. ხოლო ზაფხულზე ზღვისპირეთის მშვიდსა და მღელვარე სილამაზეს აქსოვდნენ ქორეოგრაფიულ ორნამენტებში. ასეა, ნამდვილად შეესატყვისება ქართული ბალეტის ვირტუოზულობას მაღალი მთების სიდიადე, შავი ზღვის ცისფერი პეიზაჟები. „ლაურენსია“, „სინათლე“, „მთების გული“. კარგად ჩანს ჩვენი ბალეტის მიღწევები. ამ სპექტაკლებზეა აგებული კინოსურათი. ფილმის დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის დეკემბრისათვის.

ჩვენ ვეწვიეთ რეჟისორ ს. დოლიძეს. სამუშაო მაგიდაზე იდო რამდენიმე ეგზემპლარი „ეთერის სიმღერის“ სცენარისა.

— აი, პირველი ვარიანტი, მეორე, მესამე... ვინ იცის რომელზე შეეჩერდები. ხომ იცით, ისეთი თემაა... ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, კოტე მარჯანიშვილი. ყოველ დეტალს ასჯერ უნდა აწონვა... არადა საჩქარო კია. სცენარში ოდნავ ავუხვიე გვერდი ბიოგრაფიულ ჩარჩოებს.

„ეთერის სიმღერას“ თავად სცენარის ავტორი რეჟისორი დოლიძე დგამს, მუსიკა ფალიაშვილისაა, მისი სხვადასხვა ნაწარმოებებიდან. გეგმა აჩვენებს, რომ სურათი წარმოებაში უნდა ჩაუშვან მიმდინარე წლის დასასრულამდე.

ქართული ხალხური ზღაპრების თემაზე იღებენ სრულმეტრაჟიან, მხატვრულ ფერად ფილმს „ჯადოსნური სალამური“.

სცენარის ავტორი და დამდგმელია რეჟისორი კოტე მიქაბერიძე. ფილმის შემქმნელი კოლექტივი ბაკურიანში იღებდა სურათის დიდ ნაწილს. ოპერატორებმა კანდელაკმა და კასიუკოვმა მრავალი „ნატურა“ გადაიღეს და გამოიყენეს. უხვადაა კომბინირებული გადაღებები. სურათი ნამდვილი პოეტური სიმღერა იქნება მრავალ ჭირვარამ გამოვლილ ქართველ გლეხზე. მისი სინდისი, სიმამაცე, პირდაპირი და გაუტეხელი ხასიათი თუმცა ზღაპრული, მაგრამ მაინც დამაჯერებელი და ამალელვებელი ფერებითაა ნატვიფრი. აღნიშნული სურათი 10 დეკემბრისათვის იქნება მზად.

სათავგადასავლო ფილმის „ორი ოკეანის საიდუმლოება“ — წარმოებაში ჩასაშვებად მუშაობს რეჟისორი პიპინაშვილი. სცენარის ავტორები არიან ალექსეევი და როუკოვი, ოპერატორი ვისოცკი. ფილმი მზად იქნება მომავალი წლის ივლისში.

ახალგაზრდა რეჟისორები აბულაძე და ჩხეიძე დგამენ სპბავშვო ფილმს „მაგდანას ლუჩჯა“, რომელიც ეკ. გაბაშვილის მოთხრობის მიხედვითაა აგებული. ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი კიდევ ერთხელ გამოცდის ახალგაზრდა ხელოვანთა თვალსა და მარჯვენას. რეჟისორები გვპირდებიან, რომ სურათს მომავალი წლის აპრილისათვის დაამთავრებენ.

გზათა სამინისტროს დაკვეთით კინოსტუდიაში დგამენ რამდენიმე მცირემეტრაჟიან ფილმს უშიშროების ტექნიკის თემებზე. ესენი არიან „დეპოს უფროსი“, „ერთ დეპოში“ და „სიგნალიზაცია“.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით კი კინოსტუდია ამზადებს სამ მცირემეტრაჟიან ფილმს: მოთხრობა სოფელ ნატანებზე, სამგორის მორწყვა და კოლხეთის ჭაობიან ადგილთა ამოშრობა.

დასასრულს უახლოვდება კინონარკვევ „ალაზნის ველის“ გადაღება, რომელზედაც რეჟისორი ჩაგუნავა მუშაობს.

ეკრანებზე მალე იქნება ნაჩვენები ქართველი პატრიოტების შრომისა და ცხოვრების დღეები ნასვენი და ყამირი მიწების ათვისების საქმეში, ჩვენი რესპუბლიკიდან ძალიან შორს, ყაზახისტანის ველებზე.

კინოსტუდია ყოველთვიურად ამზადებს ორ-ორ კინოჟურნალს „საბჭოთა საქართველო“, სადაც აღნუსხულია ყოველი ახალი გამარჯვება მშვიდობიანი შრომის ფრონტებზე, ქართველი ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების განუხრელი აღმავლობა, მათი მეგობრობა დიადი საბჭოთა ქვეყნის ერებთან.

თვით ამ მშრალი ჩამოთვლიდანაც კი ჩანს, თუ რა გაცხოველებული, შემოქმედებითი მუშაობაა გაშლილი ქართული კინოსტუდიის ლაბორატორიებში.

ნოდარ ჩხეიძე

ფილმის („ისინი ჩამოვიდნენ მთებიდან“) გადაღების ერთ-ერთი მომენტი.

კარიკატურის ოსტატები

გ. ქართველიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 1494

სამი საბჭოთა კარიკატურისტის — მიხეილ ვასილის-ძე კუპრიანოვის, პორფილე ნიკიტას-ძე კრილოვისა და ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე სოკოლოვის გასაოცარი მეგობრობა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საბჭოთა ფართო საზოგადოებაში.

„პრავდასა“ და ჟურნალ „კროკოდილის“ რედაქციებში, სადაც აქტიურად თანამშრომლობენ კუკრინიკსები, ხშირად მოდის შეკითხვები: „როგორ მუშაობენ კუკრინიკსები?“ „როგორ აქვთ მოგვარებული კუკრინიკსებს ერთად მუშაობის საქმე?“.

მაგრამ კუკრინიკსების პოპულარობა მარტო მათი ერთად მუშაობით როდია გამოწვეული. მილიონობით ადამიანები აღტაცებული არიან კუკრინიკსების ნამუშევრებით, მათი გასაოცრად მახვილი და ზუსტი კალმით, მათი გამჭრიახი თვალით, რომელიც იმასაც ამჩნევს, რაც თითქოს სრულიად უმნიშვნელოა, წვრილმანია, მაგრამ ამ წვრილმანის საშუალებით შუქს ჰფენს სურათის მთელ არსს. კუკრინიკსების ნამუშევრები გამოირჩევა პოლიტიკური ალღოთი, რის გამოც მათი კარიკატურები ყოველთვის მიზანში ხვდება. იშვიათია მხატვრები, რომლებიც ისე გვიჩვენებენ კაპიტალისტური სამყაროს მთელ სიმახინჯეს, გამყიდველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ფარისევლობას, მსოფლიო ომის გამჩაღებლების მთელ ბოროტებას, როგორც ეს კუკრინიკსებს ეხერხებათ.

ცოტა რამ ბიოგრაფიიდან

კუკრინიკსებმა ერთად მუშაობა დაიწყეს ოცდაათი წლის წინათ, 1924 წელს, მოსკოვის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის კედლის გაზეთში. მოსკოვს სასწავლად ჩამოვიდნენ: კუპრიანოვი — ყაზანიდან, კრილოვი — ტულიდან, სოკოლოვი რიბინსკიდან. კუკრინიკსების ფსევდონიმით პირველად 1925 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „კომსომოლიაში“ ამ სამი მხატვრის მიერ ერთად შესრულებული მეგობრული შარჟები ახალგაზრდა პოეტებსა და მწერლებზე. იმ ხანებში ფსევდონიმი კუკრინიკსები ჯერ კიდევ არ იყო მთლად მტკიცე და, როცა ამა თუ იმ სურათს სამივე ერთად არ ხატავდა, არამედ რომელიმე ერთი წყვილი მათგან, ფსევდონიმიც შესაბამისად მოკლდებოდა — კრიკუპ, კუკრი ან კრანიკსი.

დიდ და ნაყოფიერ მუშაობას კუკრინიკსები 1932 წლიდან შეუდგნენ „პრავდაში“. პირველი მათი ნამუშევარი იყო ეროვნებათა ლიგაში განიარაღების საკითხზე ა. ბეზიმენსკის მიერ შეთხზული იგავ-არაკის „ზვიგენის“ ილუსტრაცია. უნდა ითქვას, რომ კუკრინიკსების სახელი უფრო ადრე გახდა ცნობილი, ვიდრე ამ ბრწყინვალე ტრიუმვირატში შემავალი მხატვრების სახელები. ამ ნიადაგზე 1934 თუ 1935 წელს ერთი სასაცილო ამბავი მოხდა. სამდივნოს ერთ-ერთ თანამშრომელს დაევალა შეემოწმებინა „მკვდარი სულები“, რომლებიც დაუმსახურებლად იღებდნენ ეგრეთ წოდებულ „ფიქსს“ რედაქციაში. და აი, ამ „მკვდარ სულებს“ მან მიაკუთვნა... კრილოვი, კუპრიანოვი და სოკოლოვი, რადგან აზრადაც არ მოსვლია, რომ სწორედ ესენი იყვნენ კუკრინიკსები.

კუკრინიკსების სატირიკული ნიჭი განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის წლებში გამოვლინდა. მათი შესანიშნავი კარიკატურები, ჩვენი სამშობლოს მტრების, ფაშისტების, იმპერიალისტების წინააღმდეგ მიმართული, ქვეყნდებოდა „პრავდასა“ ფურცლებზე, საკედესის „ფანჯრებში“. გარდა ამისა, კუკრინიკსებმა შეჰქმნეს მთელი რიგი დიდი ტილოებისა, მათ შორის, ცნობილი სურათი „აღსასრული“, რომელშიც სტალინური პრემია მიენიჭათ. პრემიის ფული მათ გადარიცხეს ტანკ „ულმობელის“ აღსაჭურვავად. ტანკის კოშკურა კუკრინიკსების ნახატებით იყო მორთული.

კუკრინიკსები — სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრები და სტალინური პრემიის ლაურეატები არიან (ერთი პრემია მიენიჭათ პოლიტიკურ კარიკატურაში, მეორე — ჩეხოვის ნაწარმოებთა ილუსტრაციებში, მესამე — სურათში „აღსასრული“, მეოთხე — პოლიტიკურ კარიკატურასა და მ. გორკის ნაწარმოების „ფომა გორდეევის“ ილუსტრაციებში). კუკრინიკსები დაჯილდოებული არიან სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

როგორ მუშაობენ

ხელოვნების, განსაკუთრებით, პლასტიკური ხელოვნების დარგში სამი მხატვრის ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობის მაგალითი, რომელსაც კუკრინიკსები გვიჩვენებენ, შეიძლება ითქვას, ერთადერთია.

რომ გავიგოთ, რატომაა სამივე ერთად კუკრინიკსები და თვითეული ცალ-ცალკე ასევე კუკრინიკსები, უნდა ვიცოდეთ, როგორ მუშაობენ ისინი.

თემის ირგვლივ წინასწარი ზეპირი მოთათბირების შემდეგ, თვითეული მხატვარი თავის ვარიანტს ხატავს. თავის მოსაზრებებსა და შავ ესკიზებს თვითეული მათგანი წარმოადგენს ისე, როგორც ეს მას აქვს ჩაფიქრებული. ამ ვარიანტებს იხილავენ უდიდესი მომთხოვნელობითა და ჩაციებით, რაც ესოდენ დამახასიათებელია კუკრინიკსებისთვის. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ სამი სახელოვანი მხატვრის მკაცრი სამსჯავრო უარყოფს სამივე ვარიანტს და ძიება იწყება თავიდან. ბოლოს ამოარჩევენ ისეთ ვარიანტს, რომელსაც ყველაზე უკეთესად მიიჩნევენ და ავსებენ სხვა ვარიანტების მოხდენილი დეტალებით. ამის შემდეგ იხატება სურათი მთლიანად, და იხატება კუკრინიკსებისთვის იმ ჩვეული კეთილსინდისიერი გულმოდგინებით, რაც მათი სურათების მეტ წილს ხელოვნების უნაკლო ქმნილებად აქცევს.

ზომით პატარა სურათზე სამივე მხატვარი ერთად მუშაობს, მუშაობის პროცესში ადგილს ინაცვლებენ და სამუშაო ხელიდან ხელში გადადის.

საგულისხმოა, რომ შემოქმედების კოლექტიური მეთოდი, რომელიც კუკრინიკსებმა პირველად კარიკატურის დარგში გამოიყენეს, იმავე წარმატებით გამოყენებული აქვთ თავისი შემოქმედების სხვა ჟანრებშიც. და აქაც, ამ ჟანრებში, როგორიცაა, მაგალითად, რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების ილუსტრაციები და დიდი ტილოები, კუკრინიკსებს ახასიათებთ დაძაბული და დაუღალავი ძიება. მაგალითად, „ფომა გორდეევის“ ილუსტრაციების დამზადების დროს თვითეული თემის დასასურათებლად 50-ზე მეტი ვარიანტი მუშავდებოდა.

კუკრინიკსები, როგორც მხატვრები, წლითიწლობით იზრდებიან. მათი დიდი ნიჭი სრული აყვავების პერიოდშია. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პრესა, აგრეთვე, ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიული ქვეყნების ბევრი პროგრესული გაზეთი და ჟურნალი ჩვენი ჟურნალ-გაზეთებიდან ბეჭდავენ კუკრინიკსების რისხვით აღსავსე კარიკატურებს, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ მიმართულ ამ ბასრ იარაღს.

მიუხედავად იმისა, რომ კუკრინიკსები დიდ მუშაობას ეწევიან ერთად, თვითეული მათგანი ცალკეც მუშაობს, როგორც დამოუკიდებელი მხატვარი. იმას, ვინც კუკრინიკსების სურათების გამოფენაზე ყოფილა და თვითეული მათგანის სურათი უნახავს, ყოველად შეუძლებელია არ შეემჩნია, როგორ თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ეს სურათები. ასე აუმჯობესებს თვითეული მათგანი ცალ-ცალკე თავის ოსტატობას და ამით სამივე ერთად აღწევს მათ მეგობრობაში აღმოცენებულ მეოთხე, ყველაზე კარგი მხატვრის — კუკრინიკსების დოსტატებას.

ილუსტრაციები ა. ჩეხოვის მოთხრობებისა — „ქამელეონი“ და „ადამიანი ფუტლარში“, შესრულებული კუკრინიკსების მიერ.

მეცხოველეობის ფერმაში

„მეცხოველეობის, და პირველ რიგში, საზოგადოებრივი მეცხოველეობის უსწრაფეს აღმავლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის... ეს ყველაზე უფრო გადაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობაში“ (აღნიშნულია ს. კ. კ. პ. სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში). ამიტომ არის, რომ ახლა ჩვენი კოლმეურნეობები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობის განვითარებას. გამოჰყავთ ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშები, ამრავალფეროვნებენ საკვებს, პირუტყვს უქმნიან ყოველგვარ პირობებს პროდუქტიულობის ზრდისათვის.

თბილისის გარეუბნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაშიც ასე მოქმედებენ.

ადგილობრივი ჯიშის ძროხები, რომლებიც მეტ საკვებს იღებენ და საშუალოდ წელიწადში 600-800 კილოგრამს იწველიან, მთლიანად შეცვლილია მაღალპროდუქტიული ძროხებით, განსაკუთრებით ველის წითელი ჯიშის ძროხებით.

ამ ჯიშის ძროხის საშუალო ცოცხალი წონა 470 კილოგრამამდე აღწევს. საშუალო წველადობა ლაქტაციის პერიოდში 3500 კილოგრამს უდრის. ამავე დროს, ველის წითელი ჯიშის პირუტყვი კარგად ეგუება ბაგურ კვებაზე შენახვას მთელი წლის განმავლობაში.

კოლმეურნეობის ფერმა კეთილმოწყობილია. გამოყვანილია წყალი და აგებულია რეზერვუარი 150კბ/მ ტევადობისა, მოწყობილია წყლის ავტომატური სასმისები.

ფერმის ტერიტორია და პირუტყვთა სადგომების მთელი ფართობი გუდრონირებულია, რაც ხელს უწყობს ჰიგიენური პირობების კარგად დაცვას.

მოწყობილია საჰაერო საბაგირო გზა, რომლის საშუალებითაც ხდება ნაკელის გაზიდვა. შენდება ახალი სასილოსე კოშკები, თვითეული 200 ტონის მოცულობისა.

ფერმა ელექტროფიცირებულია. ძროხებს წველიან ელექტრო-აპარატების საშუალებით. ახლახან ააგეს სპეციალური შენობა რძის მისაღებად და მისი პასტერიზაციისათვის. აქვეა მაცივარი, სამრეცხაო და სხვ. ამ შენობის იატაკი და შიდა კედლები მოპირკეთებულია კაფელით.

ნ. სალარიძე

ფოტო რ. აკოფოვისა



ფოტოზე ზემოთ: მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის საერთო ხედი. ქვემოთ: მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის საუკეთესო მწველელი მარია ივანოვა ამზადებს ელექტრო საწველს ძროხის მოსაწველად.

მ. ივანოვა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია.

ოთხი ჩინური გამოგონება

ამ საფოსტო მარკებზე, რომლებიც გასულ წელს გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, აღბეჭდილია ოთხი ჩინური გამოგონება. ეს უძველესი მეოთხე სერიაა მარკებისა, ჩინელი ხალხის ძველი და ახალი მიღწევებისადმი მიძღვნილი.

პირველ მარკაზე გამოხატულია უძველესი კომპასი (ძველი წ. ა. III საუკუნე). კომპასი შედგება მაგნიტის კოვზისაგან, რომელიც მოთავსებულია ბრინჯაოს თეფშის გლუვ ზედაპირზე. ეს უკანასკნელი დაყოფილია სხვადასხვა ნაწილებად. რა მდგომარეობაშიც არ უნდა მოეთავსებინათ კოვზი, იმდენ ხანს იტრიალებდა, სანამ მისი პირი ჩრდილოეთისკენ არ მოექცეოდა, ტარი კი სამხრეთისაკენ.



მეორე მარკაზე ჩვენ ვხედავთ სეისმოგრაფს, მიწისძვრათა აღმნიშვნელ ხელსაწყოს, რომელიც გამოგონებული იქნა ჩვენი წელთაღრიცხვის 132 წელს, ასტრონომისა და მწერლის ჩან ხენის მიერ.

სეისმოგრაფი წარმოადგენდა ბრინჯაოს თასს, რომელსაც შიგნით ქანქარას მსგავსი მოწყობილობა ჰქონდა. მიწისძვრა იწვევდა ქანქარის მოძრაობას. ეს უკანასკნელი ბერკეტის საშუალებით აღებდა თასზე მიმაგრებული დრაკონის ყბას, რომლიდანაც ქვევით მოთავსებულ ბრინჯაოს ბაყაყის პირში ვარდებოდა სპილენძის ბურთი. ამით იგებდნენ მიწისძვრის არსებობასა და მიმართულებას.

მესამე გამოგონება წარმოადგენს ციურ მნათობების მოძრაობათა შემსწავლელ რთულ აპარატს. იგი გაკეთებული იქნა კუო შო-შინის გამოგონების პრინციპის მიხედვით ჩ. წ. ა. 1437 წელს.

ინსტრუმენტი შედგება ეკვატორის ჰორიზონტალური წრისაგან, ელიპსური და მერიდიანული წრეებისგან, რომლებიც გრადუსებად არიან დაყოფილი. აპარატი აღჭურვილია ტელესკოპით.

მეოთხე მარკაზე აღბეჭდილია მსოფლიოში პირველი მანძილმზომი აპარატი, (ჩ. წ. ა. III საუკუნე) რომელიც განსაკუთრებული კონსტრუქციის ურიკას წარმოადგენდა. ბორბლები შეერთებული იყო კბილანებთან, რომლებიც თვითეული ლის გავლას აღნიშნავდნენ.

(ჟურნალი: „ვსემირნიე სტუდენჩესკიე ნოვოსტი“ № 6-7 1954)

ბაზრის საკვირველება

„საქართველოს სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ძირითადი დარგი“, ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც ახლახან გაიხსნა სახელმწიფო მუზეუმის შენობაში.

ციტრუსოვანი კულტურების ძველ რუკაზე ძლივს იპოვნით იმ წერტილებს, რომლითაც აღნიშნულია ჩაის, ლიმონის, მანდარინისა და სხვა ციტრუსთა გავრცელების რაიონები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ახლა კი ციტრუსთა პლანტაციებს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაუფარავს. ასეთივე კონტრასტული სურათებია სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც: მევენახეობასა და მეხილეობაში, მესაქონლეობასა და მარცვლეული კულტურების მოყვანის საქმეში და სხვ.

აი, საქართველოს წყლის რესურსების რელიეფური რუკა; იქვე, კედელზე ჰკიდია სალთვისის, ტირიფონის, სამგორისა და ალაზნის სარწყავ სისტემათა რუკები. მოპირდაპირე კედელზე გამოფენილია დიაგრამები და ფოტოები, რომლებიც ჩვენი სოფლების ელექტროფიკაციისა და მექანიზაციის სწრაფი ზრდის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენენ.

დიაგრამები გვამცნობენ კოლმეურნეობათა ეკონომიკის სწრაფ ზრდას. მაგალითისათვის: წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოს კალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობას 1940 წელს განუყოფელ ფონდში ჰქონდა 249 ათასი მანეთი. 1953 წელს კი ეს ფონდი 4 მილიონ 655 ათას მანეთამდე გაიზარდა. რამდენი კოლმეურნის გაბედნიერებასა და გამდიდრებას გვაუწყებს ეს მშრალი რიცხვები!

ერთ-ერთ სტენდზე გამოფენილია გორის რაიონის მებოსტნეების მიერ მიღებული გემრიელი, გამძლე და უხვმოსავლიანი პამიდორი, რომელსაც კოლმეურნეებმა „ბაზრის საკვირველება“ შეარქვეს. მაგრამ დანარჩენიც — მიჩურინელ გ. თაქთაქიშვილის მიერ მიღებული ჰიბრიდული ნესვი, ხახვი და ლობიო, „ერისთავის ვარდისფერი“ ატამი, ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილი ჩაის ჯიში, ნატროშვილისა და ბაძოშვილის ნახევრადნაზი და ნაზმატყლიანი ცხვრის ჯიშები, განა მდიდარი, მრავალფეროვანი საბჭოთა ბაზრის საკვირველებას არ წარმოადგენენ?

გიორგი ჯალანდაძე

ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ვნახე ვრცელი საძოვრები,
მობიბინე მწვანედ,
მთა ლურჯი და მთა ზვიადი,
მთა ზურმუხტის მგვანე
და ავმღერდი მშობლიური
მთების მოთაყვანე.
თქვენ მშობლიურ მაღალ მთებში
გაგიშლიათ ფარა,
მზის ნათელი დასდგომია
თქვენს ფერმას და კარავს
და სიმღერა გაზაფხულის
მოჰქუხს მთად და ბარად.
თქვენ ბარიდან მთას გასულნი
იცავთ ხალხის დოვლათს,
იცით ცხვარის და ბატკანის
თავდადებით მოვლა;
გშვენით სეტყვა-ქარიშხალთან
ვაკაცური ბრძოლა.
და მზეა თუ მთვარე მთებში
ოქროს სხივებს ლამბავს,
გიყვართ მოსკოვ-ქალაქამდე
გრძნობის სიმთა გაბმა;
ხან რადიო, ხან გაზეთი
გამცნობთ ქვეყნის ამბავს.
მშვიდი დღეა, მზე ამოდის,
მზე ესწრაფვის ზენიტს,
აჰა, დინჯად გადიხარა
ნათელ სხივთა მფენი
და დაბრძანდა ჰორიზონტზე
ცათა ბრძენთა ბრძენი.
აჰა, ფერდობს ფარეხისკენ
დაჰყვა ფარა მშვიდად,
ცას შესცინა კორდზე მდგარმა
მოშრიალე შინდმა
და როდესაც შეღამების
ფრთა გაშალა ბინდმა, —
შორს იელვა მაშავერზე
შუქმა ვარდისფერმა:
მაღალ მთებში ელსადგურმა
გაანათა ფერმა,
ბრწყინავს ღამე, —
მწყემსს ბატკანი
ვერ მოსტაცოს მგელმა.

შაქრო სამადაშვილი

ᲕᲔᲚᲘ—ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ

მონადირე ვარ...
თოფის სროლა მოხდენით ვიცი,
ცეცხლოვან ჭაბუკს
ცეცხლი მცვივა თვალწამწამიდან...
თვალი თუ დავკარ
დედალ ხოხბის თვალების
ციმციმს —
ჩემი გახდება,
ვერსად წამივა.
მე ხალხი მიყვარს...
ამ გრძნობის ძალა მტერთა
ძლევაში მომეშველება,
ვარ მხვნელ-მთესველი,
შრომის ფერხულში თავი
მგონია დღესასწაულზე...
დამწვი,
დამბუგე,
მშობლიური ველის მშვენებავ,
დამწვი,
დამბუგე,
ამ ცეცხლს გავუძლებ...
სულს ეფინება შუქი მზისა —
სიამის მგვრელი,
დავხვდით მასპინძლად,
შემოდგომა სტუმრად გვეწვია.
ალაზნის ველი —
სიუხვის და სიმდიდრის ველი —
შრომის,
გმირობის,
სიხარულის
ასპარეზია.

ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ „ᲕᲐᲠᲫᲘᲐ“

ვარძიის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ამას წინათ აღმოჩენილ იქნა მინერალური წყალი, რომელსაც „ვარძია“ უწოდეს.

ამ წყლის ნიმუში გამოსარკვევად და სათანადო დასკვნისათვის გადაეგზავნა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს. ლაბორატორიული შემოწმებით გამოირკვა, რომ აღნიშნული წყალი მიეკუთვნება ჰიდროკარბონატურ ქლორ-ნატრიუმიანი ჯგუფის წყლებს. იგი შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული კუჭის ქრონიკული დაავადებების დროს დაქვეითებული მჟავიანობის, ნაღველის ბუშტისა და სანაღველო გზების ქრონიკული დაავადებების, ქრონიკული ენტრიტების, კოლიტების სამკურნალოდ და ა. შ. ვარძიის მინერალური წყლის მთავარი შემადგენელი ნაწილებია: კალციუმი, ქლორი, კარბონატის სულფატი, კალიუმი, ნატრიუმი, მაგნიუმი, სილიციუმი, რკინა.

მომდინარე წელს უკვე დაიწყეს ვარძიის მინერალური წყლის ჩამოსხმა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘ

თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმელების № 2 ფაბრიკა საშემოდგომოდა საზამთროდ უშვებს 18 სახის ფეხსაცმელს. მოდელები დამტკიცებულია სსრკ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროსთან არსებულ სამხატვრო საბჭოს მიერ.

ფეხსაცმელები დამზადებულ იქნება ბათუმის ქარხნის მიერ გამოშვებულ სხვადასხვა ფერის ტყავისაგან.

ფეხსაცმელებს მოვლებული ექნება ბეწვი. სარჩულად გამოყენებულია საზამთრო თბილი ქსოვილი.

ფეხსაცმელები დამზადდება მოზარდებისა, სკოლის ასაკის ბავშვებისა და სკოლამდელთათვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მოდელიორი ა. სააკოვი და მისი მოწაფე ვ. მეძმარიაშვილი მუშაობის დროს.

ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატთან არსებობს ღამის სანატორიუმი, სადაც წარმოებიდან მოუწყვეტლად ისვენებენ და მკურნალობენ კომბინატის მუშა-მოსამსახურენი. სანატორიუმის საგზური 24 დღიანია. დასრულდება თუ არა სამუშაო დღე, დამსვენებლები მიაშურებენ ხოლმე სანატორიუმს. აქ ყველაფერი გამიზნულია ნორმალური დასვენებისა და მკურნალობისათვის.

დამსვენებელთა ნაწილი საგზურს უფასოდ იღებს, ნაწილი კი შეღავათიან ფასებში (დამსვენებელი იხდის საგზურის ღირებულების მხოლოდ 30%-ს).

ღამის სანატორიუმში ერთდროულად ისვენებს 25 დამსვენებელი. ყოველ დამსვენებელს თავის პირადი საკურორტო რუქა აქვს, სადაც ინიშნება დიაგნოზი და ცვლილებები დასვენების პერიოდში.

სანატორიუმს მომსახურებას უწევს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სანატორიუმის წითელ კუთხეში შაშის თამაშის დროს (მარცხნიდან) წინდის საამქროს წუნდებელი თინა მინდიაშვილი, სახვევ საამქროს მხვეველი გალინა მიგულია და მოსამზადებელი საამქროს მუშა ვალენტინა ალერსკაია.

სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის „ბუნების განყოფილებაში“.

ფოტო გ. ვახტანგაძისა

მუზეუმი აშუქებს სოფლის მეურნეობის საკითხებს

დიდი ხანი არაა, რაც სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო ახალი განყოფილება — „ბუნების განყოფილება“.

აქ ნაჩვენებია ქიზიყში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მცენარეთა ჯიშები. სრულყოფილად არის მოცემული ახალი მიწების ათვისებისათვის ბრძოლა, რასაც ალაზნის საცდელი სამელიორაციო სადგური აწარმოებს, ნაჩვენებია მლაშე ნიადაგების ჩარეცხვის მეთოდი. იქვე, ორ დიდ დაფაზე, მოცემულია ცოცხალი კოლექცია. პირველზე ნაჩვენებია დამლაშებულ ნიადაგში გავრცელებული მინდვრის ბალახები, რომელსაც პირუტყვის საკვებადაც ვერ იყენებენ, მეორე დაფაზე კი ასახულია იმავე ნაკვეთზე ათვისების შემდეგ მიღებული კულტურები: ხორბალი, იონჯა, სიმინდი და სხვ. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ხორბალი ურწყავ პირობებში მიღებულია ჰექტარზე 8 ცენტნერის, ხოლო რწყვის პირობებში 21 ცენტნერის რაოდენობით. ამ განყოფილების ნახვით მნახველი რწმუნდება, რომ აქამდე ხელაღებული დიდი მლაშე მინდვრის (შოროქანი) ათვისება ნამდვილად შეიძლება.

ფართოდ არის აგრეთვე ნაჩვენები მეცხოველეობის განვითარების საკითხები.

მხატვრულად გაფორმებულ დიაგრამებში ნაჩვენებია მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრის, ღორის მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც პირუტყვისადმი დიდი მზრუნველობის შედეგად აღწევენ კოლმეურნეობები. კარგად არის გაკეთებული ძროხის კონცენტრირებული საკვების ნატურალური გამოფენა. ნაჩვენებია აგრეთვე კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდის ზრდა.

სიღნაღის რაიონი ხასიათდება იმითაც, რომ იქ სოფლის მეურნეობა ძირითადად მექანიზებულია. ამიტომაც მუზეუმში მოეწყო მექანიზაციის ქვეგანყოფილება, სადაც ნაჩვენებია როგორ იზრდება მანქანა-იარაღების (კერძოდ ტრაქტორებისა და კომბაინების) გამოყენება. აქვეა მევენახეობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამსახველი მასალები.

მოსავლიანობის ზრდას ზოგჯერ დიდად ამცირებს მინდვრის მავნებლები. მინდვრის მავნებლებს კოლმეურნე გლეხობამ გამანადგურებელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს, ხოლო ბრძოლა რომ შედეგიანი იყოს, საჭიროა იმის ცოდნა, თუ რა სახის მავნებლებია გავრცელებული მინდვრად. ამ მავნებლებს კოლმეურნენი ხშირად ვერ ცნობენ. სწორედ ამ მიზნით მუზეუმში მოეწყო მინდვრის მავნებელთა კოლექციების გამოფენა. აქ ნახავთ ე. წ. პურის ბაღლინჯოებს და მათ მიერ დაზიანებულ თავთავებს, ამ თავთავებიდან მიღებულ მჩატე ხორბალს, პურის ბუზებს (შვედური ბუზი, მწვანე, თვალა ბუზი), ამ ბუზების მიერ დაზიანებულ ჯეჯილს სხვადასხვა ასაკში. ცალკეა ხოჭოები და მათ მიერ დაზიანებული მცენარეები; ნაჩვენებია ზოლიანი ჭრიჭინობელა და ჯეჯილი, რომელსაც ზრდა შეუჩერება.

მისასალმებელია, რომ ამას წინათ მუზეუმმა მოაწყო მოძრავი გამოფენა მელიორაციის საკითხებზე. გამოფენაში ნაჩვენებია რწყვის ახალი სისტემა თანამედროვე ტექნიკის სრული გამოყენებით და მელიორაციის შედეგები. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრული დიაგრამები და ნატურალური ექსპონატები. გამოფენა გულდასმით დაათვალიერეს ალაზნის მტს-ის მექანიზატორებმა, აგრეთვე მთელი რიგი სოფლების კოლმეურნეებმა. მათ ამავე დროს მოისმინეს ალაზნის სამელიორაციო სადგურის დირექტორის მოადგილის ა. ბიკოვის ლექცია: „ალაზნის ველის დამლაშებული ნიადაგების მელიორაციათა ზოლი“ და მუზეუმის დირექტორის გ. ყაჯრიშვილის ლექცია: „ი. ბ. სტალინი გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებით განსხვავებათა ლიკვიდაციის შესახებ“.

რაიონის სკოლების მოსწავლეები აწყობენ მუზეუმის კოლექტიურ დათვალიერებას. მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი ჩანაწერია. ამ ჩანაწერთა ავტორები — მუშები, კოლმეურნეები, მოსწავლე ახალგაზრდობა აღფრთოვანებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მათ ერთხელ კიდევ იგრძნეს ახალი საბჭოთა სოფლის საკოლმეურნეო ცხოვრების გრანდიოზულობა, მისი მაჯისცემა, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ცხოველმყოფელი ძალა და სიდიადე.

ალ. ანაგელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კროსვორდი



ჰორიზონტალურად:

4. ცნობილი იტალიელი მეცნიერი. 7. დაავადება — კიდურთა გადაჭარბებული ზრდა. 12. ორგანიზმის საერთო გამოფიტვა, სიგამხდრე. 14. მონათა აჯანყების ბელადი რომის იმპერიაში. 15. რევოლუციონერი, რომელიც ელექტრონის სკამზე დაწვეს ამერიკაში. 16. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ატმოსფეროს ზედა ფენებში მომხდარ პროცესებს. 17. ქალის სახელი. 19. ცნობილი საბჭოთა მოჭიდავე. 20. მუსიკალური ნაწარმოები. 22. წარწერა. 24. ჩასაშლელად განწირული წამოწყება. 26. მთიდან ამოხეთქილი გამდნარი ნივთიერება, რომელიც გაცივების შემდეგ მყარ სხეულად იქცევა. 28. ჩრდილოეთის ძლიერი ქარი. 29. განცალკევებულ ნაწილთა შეერთების შედეგი. 30. სამეცნიერო კადრების მოსამზადებელი სისტემა. 33. მომრიგებელი.

ვერტიკალურად:

1. გამოჩენილი რევოლუციონერი საქართველოში. 2. ქალაქი ინგლისში. 3. მდინარე საფრანგეთში. 5. კ. გუცკოვის პიესის გმირი. 6. ალბანეთის დედაქალაქი. 8. ამა თუ იმ მოვლენის განვითარების ერთ-ერთი საფეხური. 9. ტიგრსა და ევფრატს შორის მოთავსებული ტერიტორია. 10. ექიმის სპეციალობა. 11. მიწის საზომი ერთეული 13. საფრენი აპარატი. 14. ასლი რეცეპტისა, რომლის მიხედვით დამზადებულია წამალი. 15. რიგი, განყოფილება, წყება. 18. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე. 21. დახასიათება. პიროვნების საქმიანი ან პოლიტიკური კვალიფიკაციის განსაზღვრა. 23. ძველი ქართული საკრავი. 24. წინასწარი განცხადება. 25. რევოლუციური კრეისერი. 27. ძალის ერთეული ელექტროობაში. 31. მდინარე საქართველოში. 32. შეჯიბრების ნაწილი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ქ. ნანკინის პიონერები ყიდულობენ ფარნებს: „ლოტოსის ყვავილები“.
ფერადი ფოტო გადმობეჭდილია ჟურნალიდან „კიტაი“.

მეოთხე გვერდზე: „შემოდგომის ხილი“.
ფოტოეტიუდი გ. გოგიჩაშვილისა.

რედაქტორის მაგიერ ვ. ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა **ალ. ბანძელაძემ**

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/X-54 წ. გამომც. № 275 ქაღ. ზომა 70×108 1/8. ნაბეჭდი ფურცელი 3 1/2 ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 683 უე 14657

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი აკიდო.

ფოტოეტიუდი მ. ზარგარიანისა

ფასი 3 მან.
№ 22/1527.
ეროვნული
ბიბლიოთეკა